# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 26 მაისი 2005 №116 (2439) ფასი 50 თეთრი

## პრეზიდენტს ესენი აირჩევენ

ოცდაექვსი დელეგატის სია ცნობილია 6



## ბრიგელის ნაცნობი 23

ალბანელებმა ქართველებს გუნდი გაუმზადეს 6



## ძველ ოქრო-ვერცხლზე უკეთესი ბრინჯაოა 15

# შენ არასოდეს დაიჩოქებ!

## თამაში მითი: ლივერპულმა ლოგიკა და მილანი დაამსხვრია



AFP ფოტო

# 26 მაისია და თასია

დღეს 26 მაისია, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. დღეს საქართველოს თასის ფინალიცაა, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მეთხუთმეტედ რომ ტარდება და ბოლო სამი წელია, დავით ყიფიანის სახელს ატარებს. „ლოკომოტივი" და „ზესტაფონი" ის გუნდებია, დღევანდელ ქართულ ფეხბურთში სიტყვა რომ ეთქმით. ფინალს კი ის დატვირთვაც აქვს, რომ გამარჯვებული უეფას თასის საგზურს ჩაიჯიბავს. გუნდების ხელმძღვანელებიც თამაშამდე შმაგად ქოქავენ მწვრთნელ-ფეხბურთელებს — „ლოკომოტივსაც" და „ზესტაფონსაც" პატრონებმა სოლიდური პრემიები დაუწესეს.



[illegible] ფოტო




სტამბოლი. „ათათურქი". 80 597 მაყურებელი

# მილანი 3:3 (3:3დ.დ. 2:3პენ.) ლივერპული

1:0 მალდინი (1), 2:0, 3:0 კრესპო (39, 44),
3:1 ჯერარდი (54), 3:2 შმიცერი (56), 3:3 ხაბი ალონსო (60)

1 დიდა

2 კაფუ 13 ნესტა 31 სტამი 3 მალდინი

21 პირლო

8 გატუზო 20 ზეედორფი

22 კაკა

7 შევჩენკო 11 კრესპო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

შეცვლა

კრესპო — 15 ტომასონი (85), ზეედორფი — 27 სერჟინიო (86) გატუზო — 10 რუი კოშტა (112),

1 დუდეკი

3 ფინანი 23 კარაგერი 4 ჰიიპია 21 ტრაორე

8 ჯერარდი 14 ხაბი ალონსო

10 ლუის გარსია 6 რიისე

7 კიუელი

5 ბაროში

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

შეცვლა

კიუველი — 11 შმიცერი (23), ფინანი — 16 ჰამანი (46), ბაროში — 9 ჯიბრილ სისე (85)

გაფრთხილება: კარაგერი, ბაროში
მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)



AFP სტამბოლიდან




AFP სტამბოლიდან

ირჟი დუდეკის ტრიუმფი და ანდრეი შევჩენკოს დრამა

ლიგის ფინალის ნახვას ყოველწლიურად მაისის ბოლოს ვერ ავცდებით, მაგრამ ასეთი ფინალი, შეიძლება ცხოვრება გალიო და, მეორედ ველარ ნახო.

ლიგის ფინალი თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ძნელია, ემოციური არ იყოს. მაგრამ გუშინდელი მატჩი, ფინალური რომც არ ყოფილიყო, ბარე ორ ფინალზე ემოციური იქნებოდა.

თუ გუშინდელი ფინალი არ გინახავთ, მოსასამძიმრებლად გაქვთ საქმე

საერთოდ კი, ფეხბურთს ძალიან უხდება ემოცია.

ფეხბურთს სიმბოლოებიც უხდება. სიმბოლური კი ამ ფინალში ბევრი რამ იყო. თუნდაც ის, რომ „მილანის" წინა ფინალში ბოლო დარტყმა ანდრეი შევჩენკოსი იყო და „მილანმა" იმ პენალტით მოიგო. ბოლო დარტყმა გუშინაც უკრაინელისა გახლდათ...

ან ის, რომ „ლივერპულმა" ბოლოს ჩემპიონთა თასი 21 წლის წინათ მოიგო და მაშინაც პენალტებით, „რომასთან". სწორედ იმ ფინალში ნახა ხალხმა პირველად, „ლივერპულის" მეკარე ბრიუს გრობელაარი კარის ხაზზე უცნაურ მოძრაობებს რომ აკეთებდა და ამით პენალტის დამრტყმელს აბნევდა. „ლივერპულის" მეკარე გუშინაც ცეკვავდა პენალტისას მუცლის ცეკვას და როგორც 21 წლის წინ, ახლაც „ლივერპულს" ოდენ ორი პენალტი გაუტანეს.

მაგრამ ეს ძველი ამბები მოგვიანებით, უკვე თამაშის დასრულების და თასის აღმართვის მერე გახსენდება. თამაშის ყურებისას კი ერთი აზრი გიტრიალებდა თავში: ღმერთო, ეს რა ხდება?!

პირველ ტაიმში „მილანი" არ იყო ის გუნდი, რომელმაც იღბლით დაამარცხა „ეინდჰოვენი". ეს ძლევამოსილი „მილანი" იყო, როგორიც ძველი დროიდან შემორჩა მეხსიერებას და ვერ იტყვი, პირველ ტაიმში გატანილი სამი გოლი ამ გუნდზე არამიაო — ნაღდად იმსახურებდა.

ერთი ეგ იყო, მეორე ტაიმის იმედი ბევრს აღარ ჰქონდა. ფინალის ბედი მკაფიოდ გარკვეული ჩანდა და ყოჩაღ იმას, ვინც დაიკვეხნის, მეორე ტაიმში „ლივერპულის" მკვდრეთით აღდგომის მჯეროდაო.

ჯერარდის გოლმა იმედი გააღვივა, მერე კი სასწაული მოხდა. ასეთი რამ ხანდახან კი ხდება, მაგრამ მაინც სასწაულად მოვიხსენიებთ-ხოლმე. მით უმეტეს ლიგის ფინალში და ისიც „მილანთან".

გოლების და მომენტების აღწერას აქ არ შევუდგებით, სჯობს ემოციას ცოტათი ჩაცხრომა ვაცადოთ, მაგრამ ერთი მომენტი კი მაინც გავიხსენოთ: ბოლო წუთზე ირჟი დუდეკის ორმაგი სეივიც თამაშის ამგვარ შემობრუნებაზე არანაკლები სასწაული იყო.

ერთიც: უყურებდი და თან გსიამოვნებდა და თან გიკვირდა, არაქათგაცლილი ფეხბურთელები 120-ე წუთამდე ასეთ ტემპში როგორ თამაშობდნენ.

ბოლოს კი პენალტების და დუდეკის ცეკვის ჯერიც დადგა. შევჩენკომ ბოლო დარტყმა წააჩლინა, მაგრამ მოდით, „მილანის" დამარცხებას უკრაინელის ამ დარტყმას ნუ დავაბრალებთ — „მილანს" ფინალი უკვე წაგებული ჰქონდა.

## საბერძნეთი

ეროვნული ლიგა
XXX ტური
აეკ 3:0 აპოლონი
იონიკოსი 1:1 ქსანთი
ირაკლისი 0:1 ოლიმპიაკოსი
კალითეა 3:1 არისი
კერკირა 1:3 ხალკიდონა
ოფი 1:2 პანათინაიკოსი
პანიონიოსი 2:0 ერგოტელისი
პაოკ 2:4 ეგალეო

## სლოვენია

სი მობილ ლიგა
XXXI ტური
პრიმორიე 2:0 პუბლიკუმი
დომჟალე 3:3 დრავა პტუი
ოლიმპია 1:1 ნოვა გორიცა
ბელა კრაინა 3:0 მარიბორი
კოპერი 5:0 ზაგორიე
მურა 1:1 ლიუბლიანა

## პოლონეთი

პირველი ლიგა
XXIV ტური
პოლონია 0:5 ლეგია
ვისლა 2:1 გურნიკი
კატოვიცე 1:1 ოდრა
ლეჩნა 1:0 ამიკა
პოგონი 1:1 ზაგლებე
პლოცკი 3:0 კრაკოვია

## სლოვაკეთი

პირველი ლიგა
XXXIII ტური
პუხოვი 0:1 ჟილინა
სოგოტა 0:1 ბანსკა ბისტრიცა
დუბნიცა 0:2 პეტრჟალკა

## შვეიცარია

სუპერლიგა
გადადებული მატჩი
ქსამაქსი 1:2 გრასჰოპერი

## ჩეხეთი

გამბრინუსლიგა
XXIX ტური
ბლშანი 1:1 ლიბერეცი
ბუდეიოვიცე 1:2 სიგმა
დრნოვიცე 1:3 ბრნო
იაბლონეცი 2:0 ბოლესლავი
ოპავა 0:2 პრჟიბრამი
სლავია 1:0 ზლინი
?ოვაცკო 2:0 სპარტა
ტეპლიცე 2:0 ბანიკი

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა
VI ტური
ლაჰტი 4:0 იარო
ტამპერე 1:0 ინტერი

## ჰოლანდია

გადასახვლელი
პლეი ოფი
A ჯგუფი
I ტური
როზენდალი 2:0 ვენლო
ტელსტარი 0:3 ვოლენდამი
B ჯგუფი. 1 ტური
გრააფსხაპი 3:2 ზვოლე
სპარტა 0:1 ჰელმონდი

## რუსეთი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
*ცსკა* 2:0 ზენიტი (0:1)

## უკრაინა

უმაღლესი ლიგა
XXVIII ტური
შახტარი 2:0 დნიპრო
ვოლინი 0:1 დინამო

## შვედეთი

სუპერეტა
VII ტური
აიკ 3:1 ბოდენსი
დეგერფორსი 0:2 ლიუნგსკილე
ფალკენბერგი 1:0 ატვიდაბერგი
ნორჩიოპინგი 1:3 ბრომაპოიკარნა
იოსტერსი 1:0 იორებრო
ტრელებორგი 4:0 მიალბი
ვასბი 2:1 ფრიოლუნდა
ვასტერასი 3:5 გაის

## ხორვატია

თასის ფინალი
საპასუხო მატჩი
ჰაიდუკი 0:1 *რიეკა* (1:2)

## ბულგარეთი

თასის ფინალი
ლევსკი 2:1 ცსკა



გიო ახვლედიანი
სტამბოლიდან




AFP სტამბოლიდან

# მოერიე, სკუსერო ისევ!
## ძველი წერილი ტაქსიმიდან

ახლა, ფინალის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, აზრი არა აქვს რაიმეს წერას, ვინაიდან ყველა შემთხვევაში წერილი ძველი იქნება. რა თქმა უნდა, იმ აზრით, რომ დღეს დილით თამაში ყველას ნანახი ექნება და შედეგიც ყველას ეცოდინება, მაგრამ, მოდით იმაზე ვილაპარაკოთ, რაც მარადიულია.

მარადიული ხმამაღალი სიტყვაა და, მაგალითად, სტამბოლია მარადიული. როგორც რომ პირამიდები და... ფეხბურთი. ნუ შეგვეშინდება ჩამონათვალში ფეხბურთის გარევაც. ჰოდა, ახლა, ამ ფინალის დღეს სტამბოლის გულისგულში ტაქსიმის უბანში დგომისას, ერთ-ერთ ინტერნეტკაფეში იმიტომ შემოვედი, რომ ეს რამდენიმე სტრიქონი დამეწერა კიდევ ერთი მარადიული რამის შესახებ, მერე კი უნდა ავჩქარდე და მატჩზე გავეშურო, გზა კი გრძელია.

ეს მარადიული რამ ინგლისელი გულშემატკივარი გახლავთ.

მოგეხსენებათ, ფეხბურთში ორი გუნდი ეჯიბრება ერთმანეთს და გულშემატკივარიც ორივეს ჰყავს. მაგრამ კარგა დრო გავიდა და მე მონდომებით დავეძებ მილანელ ტიფოზებს, რომელთა სახელიც, რა თქმა უნდა, გავარდნილია მთელს მსოფლიოში. ისინი არ ჩანან, ხოლო ის, რაც სამშაბათ საღამოდან სტამბოლში ხდება, აუწერელია. ოფიციალური მონაცემებით, ქალაქში იმყოფება, ლუდს სვამს, მღერის, დროშას აფრიალებს და ტელეკამერების წინ ვაჟკაცობს 20 ათასი ლივერპულელი ფანი. არაოფიციალური მონაცემით კი ეს რიცხვი ორჯერ მეტია.

საერთოდ, ინგლისელი გულშემატკივრები არ უყვართ არსად დედამიწის ზურგზე და თურქული მედიაც წინა დღეებში აქა-იქ გააკრთობდა გამონათქვამს: ხულიგნები მოდიანო. თუმცა, ტონი ორი დღეა, შეიცვალა და კარგი, მეგობრული ხალხიაო, ამბობენ.

მთელს მსოფლიოში ინგლისელი გულშემატკივრები უყვართ ტაქსისტებს, სასტუმროების და ბარების პატრონებს და სჭირდებათ ჟურნალისტებს. ვინაიდან, ისინი რომ არ იყვნენ, ტელეეთერი ბევრით ვერაფრით შეივსებოდა ასეთი თამაშების დღეებში. აი, ახლა, ინტერნეტკაფეში მჯდომს მესმის გაბმული სიმღერა: ჟოზე მაურინიუ, ჟოოოზე მაურინიუ!!!... „ჩელსის" პორტუგალიელი მწვრთნელი ლივერპულელთათვის ძლევის სიმბოლოა, ან კიდევ ვილაცის დამარცხების გამომ-



AFP სტამბოლიდან

ხატველი სიტყვები, ეტყობა, ქუჩაზე ვილაც იტალიელმა ჩაიარა, ან ვილაც ეგონათ იტალიელი.

განთქმულ „არასოდეს იქნები მარტო"-ს, რაც „ლივერპულის" მსოფლიოში აღიარებული სლოგანია, აქ უფრო სახალხო ტრანსპარანტებიც ენაცვლება. მაგალითად: „მოერიე, სკუსერო, ისევ".

აქ ალბათ უცხოა სიტყვა სკუსერი, რაც ლივერპულელთა საოხუნჯო სახელია ინგლისში. ამ სიტყვის ზუსტი წარმოშობის ორი ვარიანტი ვიცი. ერთი რომ, სკუსერი ხელმრუდს ნიშნავს რაღაც ჟარგონზე და მეორე, ლივერპულის ნავსადგურში მომზადებული თევზის კერძის სახელია. აქედან კი მომდინარეობს ნავსადგურელი თაღლითი ბიჭის მეტსახელი, შე სკუსერო, შენაო. თუმცა ლივერპუდლიანებს არა სწყინთ. აგერ, ტრანსპარანტიც გამოუფენიათ.

რაც გინდა, თქვი და, ამგვარი ფესტივალის მოწყობა მხოლოდ ინგლისელებს შეუძლიათ. რა თქმა უნდა, თამაშის დღის ბრაზილიურ ტორსიდასთან ერთად გატარება საოცრად მომხიბვლელია და ცეკვა-სიმღერასა და იმ კაი გოგოების რიგში გარევაც არასოდეს შეიცავს ხიფათს, თავგადასავალს, მოულოდნელობას... ინგლისელები ლუდის კათხითა და ტერიტორიების სწრაფი, მოულოდნელი დაკავების უნარით კი საბრძოლო ვითარებას ქმნიან, რადგან ეს ყოველივე ძალიან ჰგავს ლაშქრობას. კაცს ბილეთი არა აქვს და მოდის, ასეთი კაცი ათი ათასობითაა ინგლისში.

ოღონდაც საუცხოო იქნება, თუ ყველაფერი კარგად დამთავრდება.

და ალბათ კარგად დამთავრდება. სტამბოლის პოლიციას ბევრი სამუშაო არ ექნება. და იმაზე მეტი პრობლემა ნუ მისცეს დღევანდელ თამაშს, გუშინ რომ რაფა ბენიტესის პრესკონფერენციაზე შუქი წავიდა. უსაფრთხოების თვალსაზრისით ვამბობ, თორემ ისე რა... ისე ფეხბურთია.

ეს მხიარული და სახიფათო სკუსერებიც გადაიტანენ ყველანაირ შედეგს. სევდის მომგვრელი მხოლოდ ის არის, რომ ამ დღეს ოც წელიწადს ელოდნენ. თუმცა, რა დროს სევდაა. თქვენ უკვე იცით ჩემპიონთა ლიგის ფინალის შედეგი. თამაშიც ნახეთ.

ჰოდა, წავიდაააა.

მართლა ხმამაღლა და ლამაზად მღერიან.

თუ გუნდმაც ხმაააყოლა...

ეს კი იქნება, რომ მეხუტო გონსალესის სტვენის ხმა ნაკლებად გასაგონი იქნება ოლიმპიურ სტადიონზე.

თუმცა რა, თავადაც იცით...

საერთოდ კი, ამ ისტორიას დრამის იერი აქვს.

მე ასე მგონია და თქვენ კი უკვე იცით შედეგი, ჰოდა, ვილაპარაკოთ.




AFP სტამბოლიდან





# დავით ყიფიანის თასი
# ფინალი

*1990 წელს საქართველოს თასის ფინალში ლანჩხუთის „გურია" და სოხუმის „ცხუმი" რომ შეხვდნენ, მას შემდეგ ასეთი საოცდაექვსმაისო საფეხბურთო აჟიოტაჟი აღარ გვინახავს. ამ სეზონში „ლოკომოტივმა" და „ზესტაფონმა" შესაბამისად მეოთხე-მეხუთე ადგილები დაიკავეს, ანუ ჩემპიონატში მაინცდამაინც არ გაუბრწყინიათ...*

**ლოკომოტივი** თბილისი

**ზესტაფონი**

### სავარაუდო შემადგენლობა

1 სტურუა

3 გ. ონიანი, 4 მახვილაძე, 5 მანჩხავა, 6 გიგაური

2 რ. ონიანი, 20 სანიკიძე

9 ქებაძე, 14 ბობოხიძე, 7 სეთურიძე

10 სირბილაძე



მწვრთნელი ნოდარ აკობია

*„ზესტაფონისთვის" პლუსი იქნება მხურვალე ქომაგობა. რაც მართალია, მართალია, „ლოკომოტივს" მხოლოდ ფეხბურთელების ოჯახის წევრები და მეგობარ-ახლობლები გულშემატკივრობენ, დიდ ჯგუფს კი ვერ ვხედავ.*



**მსაჯები:**
ლ. ფანიაშვილი;
ზ. მენთეშაშვილი, გ. ჩიგოგიძე;
ა. შილაკაძე
**ინსპექტორი:**
ა. მილჩენკო

### სავარაუდო შემადგენლობა

1 ქვარიხია

3 ჩიკვილაძე, 4 ლონდაძე

10 შაგგულიძე, 13 ძამსაშვილი

16 განუგრავი, 19 გურული, 17 ჩხეტიანი, 5 თოდუა

18 თურმანიძე

2 იონანიძე

*მიუხედავად იმისა, რომ სეზონის ბოლოა, არც გადაღლილობა გვეტყობა მაინცდამაინც. ჩვენთვის დიდი პატივია ფინალში თამაში და აქ მოსახვედრად დიდი ბრძოლა გადაგვხდა.*



მწვრთნელი თემურ მახარაძე

# ლოკომოტივი 50:50 ზესტაფონი
## ფინალს ინდივიდუალისტები იგებენ

**მაშ,** რატომაა ასეთი აურა ფინალის წინ? რამდენიმე მიზეზია და, მოდით, კიბე-კიბედ მივყვეთ: 1. „ზესტაფონი" და „ლოკომოტივი" პირველად ხვდებიან ერთმანეთს ფინალში; 2. ორივე გუნდს მხოლოდ ფინალში გამარჯვებით შეუძლია ევროტურნირზე გასვლა; 3. პირველ ეტაპს თუ არ ჩავთვლით, 2005 წელს ზესტაფონელები და რკინიგზელები საუკეთესო ქართული კლუბები არიან და მრავალმატჩიანი წაუგებელი სერიაც გამოაცხვეს; 4. ორივე გუნდი რალაცნაირად ჩამოჰგავს ერთმანეთს თამაშის სტილით — დაცვა კარგი ჰყავთ და გოლებსაც იშვიათად უშვებენ; 5. ზესტაფონიდან ერთი მატარებლით და რვა ავტობუსით ჩამოდიან გულშემატკივრები — ეს უფასოდ, თორემ რამდენი თავისი ხარჯით ჩამოვა და რამდენი თბილისში მცხოვრები ზესტაფონელი მივა სტადიონზე, ხომ წარმოგიდგენიათ. მოკლედ, სულ მცირე, 5 000 ზესტაფონელ ფანს ელიან „ეროვნულზე".

გუშინ კი ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში ორივე გუნდის მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმა ისაუბრეს ჟურნალისტებთან. „ზესტაფონიდან" თემურ მახარაძე და ფორვარდი ზაზა ზირაქიშვილი იყვნენ, „ლოკომოტივიდან" კი ნოდარ აკობია და კაპიტანი როინ ონიანი.

მეტოქეებმა ერთმანეთს კომპლიმენტები არ მოაკლეს და ერთ აზრზე იყვნენ — ძნელი მატჩი იქნება, მოგება ორივეს შეუძლია და, ზუსტი ფარდობითობა თუ გნებავთ, ორმოცდაათი ორმოცდაათზე ვაფასებთ შანსებსო.

***თემურ მახარაძე:*** „გუნდი ყველანაირად მწყობრშია, არც უმოტივაციობას ვუჩივით და, მიუხედავად იმისა, რომ სეზონის ბოლოა, არც გადაღლილობა გვეტყობა მაინცდამაინც. ჩვენთვის დიდი პატივია ფინალში თამაში და აქ მოსახვედრად დიდი ბრძოლა გადაგვხდა. ძალიან ცუდი კენჭისყრა გვქონდა — მერვედფინალშივე „დინამოს" დავეჯახეთ, შემდეგ „ბათუმს" და „თბილისს" ვაჯობეთ, ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

...მიხარია, ამდენი გულშემატკივარი რომ მოდის სტადიონზე, „ზესტაფონს" მხარდაჭერა არ მოაკლდება, თუმცა, როგორც გავიგე, „ლოკომოტივსაც" ბლომად ეყოლება ქომაგი. უმაყურებლო ფეხბურთი ფეხბურთი არ არის".

***ნოდარ აკობია:*** „ცხადია, „ზესტაფონისთვის" პლუსი იქნება მხურვალე ქომაგობა. რაც მართალია, მართალია, „ლოკომოტივს" მხოლოდ ფეხბურთელების ოჯახის წევრები და მეგობარ-ახლობლები გულშემატკივრობენ, დიდ ჯგუფს კი ვერ ვხედავ. რისი ბრალია ეს? ხალხს ძალით ვერ მოიყვან სტადიონზე. მაშინ ვარსკვლავები უნდა გყავდეს გუნდში, ისეთები, როგორებიც თუნდაც მესხი და მეტრეველი იყვნენ, რომელთა სანახავად მაყურებელი ტრიბუნებს ბოლომდე ავსებდა".

რა იქნება, კერძოდ, რომელი რგოლის თამაში იქნება გადამწყვეტი ფინალში? აკობიამ თქვა, დაძაბული თამაშს ველი და ასეთ დროს ბევრ რამეს ფეხბურთელების ინდივიდუალური ოსტატობა წყვეტსო. „ლოკომოტივის" თავკაცმა ზესტაფონელთაგან ზაზა ზირაქიშვილი, ზურაბ იონანიძე და გიორგი თურმანიძე გამოარჩია, თავის გუნდზე კი თავი შეიკავა, თუმცა დასძინა, ჩვენც გვყავს ინდივიდუალისტებიო.

ზირაქიშვილიც და ონიანიც კარგ ხასიათზე იყვნენ. ზაზამ თქვა, ფორმაში ვართ და, მიუხედავად იმისა, რომ „ლოკომოტივს" ძლიერი დაცვა ჰყავს, მათი კარისკენ მისასვლელი გზა ვიცითო. „ასე რომ არ იყოს, საერთოდ არ გავიდოდით მინდორზე" — დაამატა „ზესტაფონის" სწრაფმა ფორვარდმა.

თემურ მახარაძე კი პენალტებისთვისაც ემზადება — რკინიგზელები გოლებს თითქმის არ უშვებენ და ვინ იცის, მართლაც 11-მეტრიანების სერიაზე მიდგეს საქმე.

**ილია ნანობაშვილი**



ზაზა ზირაქიშვილი, თემურ მახარაძე, პროფლიგის პრესატაშე პაატა ბურჭალიანი, ნოდარ აკობია და როინ ონიანი

## ლოკომოტივი

**გზა ფინალამდე**

**მეთექვსმეტედფინალი**
ლოკომოტივი 3:0 ივერია
ივერია 0:0 *ლოკომოტივი*

**მერვედფინალი**
სპარტაკი 1:2 ლოკომოტივი
*ლოკომოტივი* 6:1 სპარტაკი

**მეოთხედფინალი**
კოლხეთი 0:0 ლოკომოტივი
*ლოკომოტივი* 2:0 კოლხეთი

**ნახევარფინალი**
ლოკომოტივი 2:0 ვიტ ჯორჯია
ვიტ ჯორჯია 1:2 *ლოკომოტივი*

სულ: 8 თამაში, 6 მოგება, 2 ფრე, 0 წაგება; ბურთები: 17-3



## დავით ყიფიანის თასი

## ფინალი

თბილისი, 26 მაისი
ეროვნული, 19.30 საათი

## ზესტაფონი

**გზა ფინალამდე**

**მეთექვსმეტედფინალი**
ზესტაფონი 3:2 მაღაროელი
მაღაროელი 2:4 *ზესტაფონი*

**მერვედფინალი**
დინამო 2:1 ზესტაფონი
*ზესტაფონი* 1:0 დინამო

**მეოთხედფინალი**
ბათუმი 0:0 ზესტაფონი
*ზესტაფონი* 1:0 ბათუმი

**ნახევარფინალი**
თბილისი 0:0 ზესტაფონი
*ზესტაფონი* 2:1 თბილისი

სულ: 8 თამაში, 5 მოგება; 2 ფრე, 1 წაგება; ბურთები: 12-7





გაგი კილასონიას ფოტოები

*გუშინ საღამოს ეროვნული სტადიონის მინდორი ჯერ „ლოკომოტივმა“, მერე კი „ზესტაფონმა“ „დაზვერა“.*
*ფინალისწინა ბოლო ვარჯიშზე ფეხბურთელები სირბილით მაინცდამაინც არ დაქანცულან, თუმცა არაინტენსიურსაც ვერ დაარქმევდა კაცი. ორივე გუნდმა დაახლოებით თითო საათი ივარჯიშა, მერე კი იყო ოდნავ დაღლილი და იმედიანი სახეები. უსიკვდილოდ უნდა მოვიგოთ, ნეტა, ხვალ საღამოს როგორ ხასიათზე ვიქნებით და ამგვარი გადაძახილები ისმოდა ნავარჯიშევს.*
*აბა, ვნახოთ, ვინ შესვამს თასიდან...*

## თასის ყველა ფინალი

**1990**
გურია 1:0დ.დ. (0:0) ცხუმი

**1991–92**
იბერია 3:1 ცხუმი

**1992–93**
დინამო 4:2 ბათუმი

**1993–94**
დინამო 1:0 მეტალურგი

**1994–95**
დინამო 1:0 ბათუმი

**1995–96**
დინამო 1:0დ.დ. (0:0) ბათუმი

**1996–97**
დინამო 1:0 ბათუმი

**1997–98**
დინამო 1:2დ.დ. (1:1) ბათუმი

**1998–99**
ტორპედო 0:0დ.დ. (0:0, პენ. 4:2) სამგურალი

**1999–00**
ლოკომოტივი 0:0დ.დ. (0:0, პენ. 4:2) ტორპედო

**2000–01**
ლოკომოტივი 0:0დ.დ. (0:0, პენ. 3:4) ტორპედო

**2001–02**
ლოკომოტივი 2:0 ტორპედო

**2002–03**
დინამო 3:1 სიონი

**2003–04**
დინამო 2:1 ტორპედო





გაგი კილასონიას ფოტოები

# ზესტაფონელი ხარ შენცა და მეცა...

**დღეს** ზესტაფონელთა მთავარი სალაპარაკო ფეხბურთი და ეროვნულ სტადიონზე გასამართი საქართველოს თასის ფინალია. თასს და უეფას თასის საგზურს დიდი თუ პატარა მოუთმენლად ელის, საღამოს კი ნახევარი ზესტაფონი დიდუბეში შეიკრიბება.

წინასამატჩოდ სასტუმრო „ბატესტაში“ დაბინავებულმა „ზესტაფონის“ წევრებმა გულშემატკივრების პირველი მხარდაჭერა გუშინ იგრძნეს. სასტუმროს ცნობილი ზესტაფონელები მიადგნენ და ფეხბურთელები შეაგულიანეს. მსოფლიოს ჩემპიონებმა — მიხეილ სალაძემ და ზაურ ცხადაძემ, შოუმენებმა — ნიკა ქავთარაძემ, ზურაბ გაჩეჩილაძემ („შონზო“) და დავით ფორჩხიძემ მოთამაშეებთან ლამის ერთი საათი ისაუბრეს, საბრძოლო შემართებისკენ მოუწოდეს და გვარიანადაც ახალისეს. მთავარ მხარდაჭერას კი დღეისთვის დაჰპირდნენ.

თავის მხრივ, ფეხბურთელებმაც თქვეს, რომ კარგად იციან, ამ ერთი გამარჯვებით როგორ გაახარებენ გულშემატკივრებს და დაჰპირდნენ, ბოლო წუთამდე მუხლჩაუხრელად ვიბრძოლებთო. „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობამ კი სახელიან ფანებს კლუბის მაისურები უსაჩუქრა.



# კანდიდატი ახალკაცი: უმაღლესში 16!
## აფხაზეთი საქართველოში დაბრუნდება



**საქართველოს** ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მომავალი სეზონიდან 16 გუნდი ითამაშებს, მათ შორის ერთი აფხაზეთიდან...

არა, ეს ამბავი ჯერ გადაწყვეტილი არ არის, თუმც დიდი შანსია, ასე მოხდეს. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატი ნოდარ ახალკაცი უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდის მომხრეა და თუ არჩევნებში გაიმარჯვებს, ჩანაფიქრსაც აასრულებს.

გუშინ ნოდარ ახალკაცს წინასაარჩევნო შეხვედრები ჰქონდა მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაციასთან, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციასთან და თბილისის „დინამოსთან".

მსაჯებთან შეხვედრა დილომში, საქართველოს ნაკრების ბაზაზე გაიმართა.

ახალკაცმა თავისი პროგრამის ძირითად საკითხებზე ისაუბრა, მერე კი მას მსაჯ-ინსპექტორებმა სადღეისოდ არსებული პრობლემები გააცნეს, რაზეც პრეზიდენტობის კანდიდატმა არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში დახმარება აღუთქვა. ახალკაცის დახმარებაში ძირითადად მსაჯთა უსაფრთხოება, ხელფას-პრემიების და ზოგადად პირობების გაუმჯობესება იგულისხმებოდა.

— ფეხბურთი მასობრივი უნდა გახდეს და ქვეყნის ყველა რეგიონში პოპულარული იყოს — ამბობს კანდიდატი და აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის წევრებს ჰპირდება, რომ უმაღლეს ლიგაში მათი წარმომადგენელიც ითამაშებს — ყველანაირად ვეცდები, უმაღლეს ლიგაში აფხაზეთის გუნდს ერთი ადგილი მაინც ჰქონდეს. ეს რეგიონი იყო და არის ქართული ფეხბურთის ტალანტებით მასაზრდოებელი და არ შეიძლება, უმაღლესში გუნდი არ ჰყავდეს. თანაც ეს პოლიტიკურადაც გამართლებულ ნაბიჯად მიმაჩნია.

ნოდარ ახალკაცი წინასაარჩევნო კამპანიას ხვალიდან რეგიონებში განაგრძობს და იმედოვნებს, რომ არჩევნებამდე ხმების საჭირო რაოდენობას მოაგროვებს, ანუ ყრილობაზე ნახევარზე მეტი მხარდამჭერი ეყოლება.

ხვალიდანვე ფედერაციის პრეზიდენტობის მეორე კანდიდატი გიორგი ნემსაძე თავის წინასაარჩევნო კამპანიის უფრო გაფართოებას იწყებს და პროგრამის პრეზენტაციას გეგმავს. მესამე კანდიდატი, ვლადიმერ გუცაევი კი დღესდღეობით ისრაელშია.

**კობა ინასარიძე**

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი
### ჩვენი მეტოქე

# ბრიგელის ნაცნობი 23

**4 ივნისი** ახლოვდება და ალენ ჟირესი მალე გამოამზეურებს საქართველოს ნაკრების საალბანეთო შემადგენლობას, ამასობაში კი ფრანგს შკიპერიელთა თავკაცმა ჰანს-პეტერ ბრიგელმა „დაასწრო" და 23-კაციანი სია გამოაცხადა. მოგეხსენებათ, ტირანის „ქემალ სტაფაზე" ალბანურ-ქართული ჯახის მოწმე ცარიელი ტრიბუნები იქნება. „არწივებს" 8 ივნისსაც აქვთ თამაში — დანიას სტუმრობენ.

ბრიგელის რჩეულებში კვლავ მოხვდა 39 წლის მეკარე ფოტო სტრაკოშა, თუმცა დიდი შანსია, ვეტერანმა მეკარემ არ ითამაშოს — ფოტომ ხომ ორიოდ თვის წინ სანაკრებო კარიერის დასრულება გადაწყვიტა. გერმანელი მწვრთნელის განკარგულებაში ერთადერთი დებიუტანტი გერმანული „კარლსრუეს" თავდამსხმელი ედმონდ კაპლანია, სხვა მხრივ კი, ჩვენი ნაცნობი „არწივები" ნალებ შემადგენლობას დაგვახვედრებენ.

*მეკარეები:* *ილიონ ლიკა (დინამო, ტირანა), ჰიშლი ჰიდი (ტირანა), ფოტო სტრაკოშა (პანიონიოსი, საბერძნეთი);*

*მცველები:* *არმენდ დალკუ, ტეფიკ ოსმანი (ორივე ელბასანი), ადრიან ალიაი (ობერჰაუზენი, გერმანია), გერი ჩიპი (ტირანა), სუათ ლიჩი (ვლაჟნია), ალტინ ჰაჯი (კალამარია, საბერძნეთი), ელვინ ბეჩირი (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა);*

*ნახევარმცველები:* *კლოდიან დურო, ერვინ შკელა (ორივე არმინია, გერმანია), ბესნიკ ჰასი (ანდერლეხტი, ბელგია), მეჰმეთ დრაგუშა (აინტრახტი, გერმანია), ბლენდი შკემბი (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), ლორიკ ჩანა (პსჟ, საფრანგეთი), ალტინ ლალა (ჰანოვერი, გერმანია), რედი ჯუპი (დიარბაქირი, თურქეთი), ელვის სინა (ტირანა);*

*თავდამსხმელები:* *იგლი ტარე (ბოლონია, იტალია), ერიონ ბოგდანი (ვერონა, იტალია), ფლორიან მურტაი (კატანძარო, იტალია), ედმონდ კაპლანი (კარლსრუე, გერმანია).*

შეგახსენებთ, ალბანეთი 7 თამაშიდან 6 ქულით ჯგუფში მეხუთე ადგილზეა.

და ბოლოს, ტირანაში მატჩი ჩვენი დროით თერთმეტის ნახევარზე დაიწყება და რუმინელ მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება ალექსანდრუ ტუდორის მეთაურობით.

**ილია ნანობაშვილი**

*გუშინ საბოლოოდ გაირკვა იმ 26 მანდატის მფლობელის ვინაობა, ვინც 11 ივნისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს აირჩევს. ქვემორე სიაში ხმოსანი პირების გარდა არჩევნებზე დამსწრე დელეგატების (სულ 32 კაცი) ვინაობასაც გაეცნობით.*

*განვმარტავთ, რომ შრიფტით გამორჩეულია ხმის მიცემის უფლების მქონე დელეგატები*

# ესენი აირჩევენ
## ყრილობაზე ხმას 26 კაცი ამოიღებს

**აჭარის ფეხბურთის ფედერაცია**
ლევან ადეიშვილი
ალექსანდრე ახვლედიანი
სულხან გოგიბერიძე

**აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია**
გია გვაზავა
კოტე კუჭუხიძე
დიმიტრი ჭანტურია

**სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფედერაცია**
ჯემალ გოგია
ემილ გალდავა
ენუქი თევზაძე

**ქვემო ქართლის რეგიონული ფედერაცია**
გიორგი გოგილაძე
დავით კარანაძე
ვარლამ კილასონია

**მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფედერაცია**
ვიქტორ ბრძელიშვილი
გია პაპიაშვილი
შალვა ხამხაძე

**„თბილისი"**
მამუკა ბუგეშაშვილი

**„ლოკომოტივი"**
ვაჟა თოფურია

**„ვიტ ჯორჯია"**
მალხაზ კაკაურიძე

**ბოლნისის „სიონი"**
დავით კირკიტაძე

**„ზესტაფონი"**
ილია კოკაია

**გორის „დილა"**
გოჩა ლომიძე

**პროფლიგა**
რევაზ ლორთქიფანიძე
ნოდარ კაკულია
ვახტანგ ზაალიშვილი

**გურიის რეგიონული ფედერაცია**
თემურ ლორია
ბიჭიკო თავბერიძე
იური ჩხაიძე

**კახეთის რეგიონული ფედერაცია**
გოჩა მამაცაშვილი
ოთარ კორღალიძე
გია ნაცვლიშვილი

**მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაცია**
ანატოლი მილჩენკო
ოთარ გუნთაძე
ავთანდილ შალამბერიძე

**ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი**
ილია მჭედლიშვილი
ბადრი ქარქაშაძე
სერგო კოტრიკაძე

**„ბათუმი"**
როინ ნაკაშიძე

**შიდა ქართლის რეგიონული ფედერაცია**
გიორგი რევაზიშვილი
ალექსანდრე ქარელი
ავთანდილ ჯალალი

**ფოთის „კოლხეთი"**
ლევან სართანია

**იმერეთის რეგიონული ფედერაცია**
გარი სორდია
ელგუჯა ბანძელაძე
ვალერი მანაგაძე

**თბილისის რეგიონული ფედერაცია**
თენგიზ სულაქველიძე
მერაბ მეტრეველი
ამირან კაჭახიძე

**თბილისის „დინამო"**
გიორგი ტყავაძე

**ფუტზალის ასოციაცია**
გრიგოლ ცაავა
კახა დევდარიანი
ირაკლი ქავთარაძე

**ქუთაისის „ტორპედო"**
ჯემალ ხაჭაპურიძე

**ქალთა ფეხბურთის ასოციაცია**
შოთა ხინჩაგაშვილი
ნინო რატიანი
გია ძამუკაშვილი

**ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი**
მურთაზ ხურცილავა
ილია დათუნაშვილი
ვლადიმერ ელოშვილი

## თქვენი ინტერვიუ
# ალენ ჟირესთან

*თქვენი კითხვების მორიგი ადრესატი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალენ ჟირესი გახლავთ. მუსიე ჟირესი, მოგეხსენებათ, ფრანგია, მაშასადამე, ევროპელი და, ალბათ, „ჩამჭრელ" და „მკვლელ" კითხვებს მისთვის არ დაინანებთ. ჟირესი და „სარბიელი" თქვენს კითხვებს 26 მაისამდე დაელოდებიან, ხოლო „თქვენ ინტერვიუს" ჟირესთან 1 ივნისამდე იხილავთ.*



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

# სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ
## დომენეკს დაბადების ადგილი არ აინტერესებს



რაიმონ დომენეკი

**საფრანგეთის** ეროვნული ნაკრებიდან გაძევებული რობერ პირესი ეროვნულ გუნდში დაბრუნების იმედს არ კარგავს. შეგახსენებთ, რომ „არსენალის" ლეგიონერმა რამდენიმე თვის წინ ტელეინტერვიუში ფრანგთა თავკაცი რაიმონ დომენეკი გალანძღა და მწვრთნელმაც ნაკრების კარი მიუხურა. მერე პირესმა მოიბოდიშა, მაგრამ ამით დომენეკის გული მაინც ვერ მოიგო.

მომავალ კვირას მეცში, საფრანგეთი უნგრეთს ამხანაგურად ეთამაშება. საინტერესო კი ისაა, რომ რობერ პირესმა საფეხბურთო კარიერა „მეცში" დაიწყო და ახლა სურს, რომ სწორედ ამ ქალაქში მოხდეს მისი სანაკრებო რეაბილიტაცია.

მაგრამ, რაიმონ დომენეკი არ ტყდება და ამბობს, სანამ მე ვიქნები, პირესი ჩემს გუნდში ვერ ითამაშებსო. „ნაკრების შემადგენლობა ფეხბურთელების დაბადების ადგილების მიხედვით რომ შევარჩიო, მუშაობა ძალიან გამიჭირდება — განაცხადა მწვრთნელმა, რომელმაც ნიკოლა ანელკაც აითვალწუნა — კიდევ ვიმეორებ, ფეხბურთელი თუ დამირეკავს და პირადად მეტყვის, რას ფიქრობს ჩემზე, მოვუსმენ, მაგრამ ზურგსუკან ლაპარაკს ვერ ავიტან" — ცხარობდა დომენეკი.

ნიკოლა ანელკამ ამასწინათ მწარედ იხუმრა, 60 ათასი ფრანგი ფეხბურთელიც რომ დაშავდეს, რაიმონ დომენეკი ნაკრებში მაინც არ მიმიწვევსო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რაფაელი დოლის ხმაზე ითამაშებს

**რაფაელ ვან დერ ვაარტი** ცალი ფეხით უკვე „ჰამბურგშია". გერმანული კლუბი აპრილიდან ცდილობდა „აიაქსის" კაპიტნის გადაბირებას და გარიგება თითქმის გაჩარხა.

დედით ესპანელმა ვან დერ ვაარტმა „ჰამბურგთან" პირადი, ოთხწლიანი კონტრაქტის პირობები შეათანხმა და ახლა მხოლოდ კლუბებს შორის ტრანსფერია მოსაგვარებელი. „აიაქსი" დაახლოებით 4 მილიონ ევროს ითხოვს და ალბათ მიიღებს კიდეც.



რაფაელ ვან დერ ვაარტი „ჰამბურგის" გამთამაშებელი იქნება

მოგეხსენებათ, „ჰამბურგი" ამ სეზონში უეფას თასზე ვერ მოხვდა და გუნდის მწვრთნელი თომას დოლიც შემადგენლობის გაძლიერებაზე ზრუნავს. რაფაელ ვან დერ ვაარტი მას გამთამაშებლად უნდა, თვითონ ფეხბურთელმა კი განაცხადა: „აიაქსთან" ჩემი კონტრაქტი 2006 წლის მაისში იწურება. აქ კიდევ ერთი სეზონი რომ დავრჩენილიყავი, ამსტერდამიდან მუქთად წავიდოდი, ახლა კი „აიაქსი" ფულს მიიღებს. „ჰამბურგს" ჯამაგირზე უკვე შევუთანხმდი. ვიცი, რომ მათ ცენტრალური ნახევარმცველი სურთ და მზად ვარ, ეს გამოწვევა მივიღო".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩემი ფეხები
## ავტორი ჰენრიკ ლარსონი



**ცნობილმა** ფეხბურთელებმა მონაწილეობა მიიღეს კომპანია „ქენონის" საქველმოქმედო აქციაში. მსოფლიო ფოტოინდუსტრიის ერთ-ერთი ლიდერის მიერ მოწყობილი აქციის მიზანი კი ფეხბურთელთა ყოველდღიური ცხოვრების წარმოჩენა გახლდათ.

„მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდმა უეინ რუნიმ თავისი ძაღლის ფოტო წარმოადგინა, რომელიც თვითონვე გადაიღო. მანჩესტერელის გარდა გამოფენაზე ასამდე ფეხბურთელმა მიიტანა ნამუშევრები — არსენალელმა ეშლი კოულმა გასახდელში გადაღებული საკუთარი მაისურის სურათი უფეშქაშა გამოფენას, ხოლო დენის ბერხკამპმა სახლის აივნიდან დანახული ლონდონის ფოტოები.

ყველაზე ორიგინალური „ბარსელონას" შვედი მეგოლე ჰენრიკ ლარსონი გამოდგა. ლარსონმა... თავისი შიშველი ფეხების „პორტრეტით" გაამდიდრა აქცია. ეს სურათი შარშან შემოდგომაზე, მადრიდის „რეალთან" მატჩში მიღებული ტრავმის შემდეგაა გადაღებული.

გამოფენა მთელი ზაფხულის განმავლობაში გაგრძელდება და სურათების გაყიდვით მიღებულ შემოსავალს „წითელი ჯვარის" ფონდს გადაურიცხავენ.

**ვაჟა ხუციშვილი**



პორტუგალიელ მეკარე რიკარდუს „არსენალი" ეპატიჟება

# ვენგერმა რიკარდუ ივნისში დაგეგმა

**ლონდონის** „არსენალი" ლისაბონის „სპორტინგის" მეკარე რიკარდუს შეძენას ლამობს. პორტუგალიის ნაკრების კარის დარაჯს ამ სეზონში ხელი მოეცარა. „სპორტინგმა" უეფას თასის ფინალი წააგო და ჩემპიონიც ვერ გახდა.

რიკარდუს გადაბირების სურვილი „ლივერპულმა" და „ნიუკასლმაც" გამოთქვეს. ნიუკასლელებმა სამი წლის წინ ნაყიდი უგო ვიანა შარშან „სპორტინგს" მიაქირავეს და ახლა მის ნაცვლად ლისაბონელებს რიკარდუს დათმობას სთხოვენ, მაგრამ საქმეში ლონდონის „არსენალი" ჩაერია. არსენ ვენგერის „მზვერავები" დიდი ხანი აკვირდებოდნენ „სპორტინგის" მეკარეს და ლონდონელებიც პორტუგალიურ კლუბს მერე დაუკავშირდნენ.

რიკარდუს აგენტმა ნუნო ბაპტისტამ ეს ფაქტი დაადასტურა: „ინგლისიდან წინადადება მივიღეთ, რომელსაც ივნისში, ესტონეთთან პორტუგალიის ნაკრების მატჩის შემდეგ განვიხილავთ".

მოგეხსენებათ, არსენ ვენგერს ამჟამად ყველაზე მეტად სწორედ მეკარის პრობლემა აწუხებს — იენს ლემანმა და მანუელ ალმუნიამ არ გაამართლეს და ფრანგი მწვრთნელიც მათ შემცვლელს ამიტომ ეძებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მაინცმა ხელში ადო ჩაიგდო



ოტო ადო

**ბუნდესლიგაში** მოყუჩებულმა „მაინცმა" სეზონის დასრულებისთანავე გუნდის გაძლიერება გადაწყვიტა. მაინცელებმა დორტმუნდის „ბორუსიადან" 29 წლის ნახევარმცველი ოტო ადო მუქთად გადაიბირეს.

განელ ფეხბურთელს სეზონის განმავლობაში ტრავმები სტანჯავდა და ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. ისედაც ვალებში ჩაფლულმა კლუბმა ზედმეტ ხარჯს თავი აარიდა და ადოს კონტრაქტი აღარ გაუგრძელა — ახალი გუნდი მოძებნეო. ოტო ადომ დორტმუნდის „ბორუსიაში" ნათამაშევ 75 მატჩში 11 გოლი მიითვალა.

ახლა იგი სამედიცინო შემოწმებას გაივლის და ოფიციალურად „მაინცის" ფეხბურთელი გახდება.

იმავდროულად „ბორუსიადან" იან კოლერის შესაძლო წასვლაზეც ლაპარაკობენ, თვითონ ჩეხი კი ამბობს, ამის შესახებ არაფერი ვიციო. გერმანული მედიის ცნობით, პრემიერლიგაში ამოსვლის მსურველ „სანდერლენდს" კოლერის გადაბირება სურს, მაგრამ ფორვარდის აგენტმა პაველ პაშკამ უარყო, ჩემს კლიენტს კლუბთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და ჯერჯერობით „ბორუსიას" ფეხბურთელიაო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ყურადღება, ყურადღება!
## მოედანზე შემოდის... ადრიან მუტუ

*მომავალ უქმეებზე სერია A-ს მიმდინარე სეზონი დასრულდება. ბოლო ტური რამდენიმე არცთუ უმნიშვნელო დეტალს გაარკვევს, თუმცა ჩემპიონის ვინაობა უკვე ცნობილია — ტურინის „იუვენტუსი".*



ადრიან მუტუს დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა

**ოცდამერვედ** გაჩემპიონებული „ბებერი ქალბატონი" ბოლო მატჩს საკუთარ „დელე ალპიზე", „კალიარისთან" გამართავს. საინტერესოა, რომ ამ შეხვედრაში რუმინელ ფორვარდ ადრიან მუტუს მინდორზე გასვლა ეგეგმება. ამასთან „იუვეს" კაპიტანმა ალესანდრო დელ პიერომ აღნიშნა, რომ არსად წასვლას არ აპირებს, რითაც მთელი სეზონის მანძილზე არსებულ ჭორებს — დელ პიერო კაპელოს ვერ ეწყობა და „დელე ალპის" დატოვებსო — წერტილი დაუსვა.

თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ — ადრიან მუტუს ნარკოტიკების მოხმარების გამო მიღებული შვიდთვიანი დისკვალიფიკაცია 24 მაისს დაუმთავრდა და მინდორზე გასასვლელად მზად არის. იგი „კალიარისთან" მატჩის განაცხადში ალბათ იქნება.

„ჩემი აზრით, შეგვიძლია,- სეზონის ბოლო თამაშში მუტუ ცოტა ხნით მაინც გავიყვანოთ მინდორზე" — აღნიშნა „იუვენტუსის" მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ.

ამბობენ იმასაც, რომ არ არის გამორიცხული, ეს მუტუს პირველი და უკანასკნელი შეხვედრა გამოდგეს „იუვენტუსის" რიგებში, რადგან შეიძლება ტურინელთა უფროსობამ იგი რომელიმე სერიოზული ტრანსფერისთვის გამოიყენოს.

ახლა დელ პიეროზეც ვთქვათ, რომელსაც კაპელოსთან იდეალური ურთიერთობა არა აქვს და მიმდინარე სეზონში შეუცვლელად მხოლოდ რამდენიმე მატჩი ითამაშა. მიუხედავად ამისა, ცოტა ხნის წინ ფეხბურთელმა გუნდის თავკაცს მადლობა გადაუხადა და საქებარი სიტყვები არ დაიშურა. კაპელოს მხრიდან ანალოგიური შინაარსის პასუხმაც არ დაახანა და, როგორც ჩანს, ბოლო დროს კარგად ათამაშებული დელ პიერო წასვლაზე აღარც ფიქრობს.

„მომავალ სეზონს „იუვენტუსში" დავიწყებ და მაშინაც გუნდში ვიქნები, როდესაც მინდორზე სამვარსკვლავიანი მაისურებით გავალთ. ვფიქრობ, იქამდე არც ისე დიდი დრო დარჩა. ჩემპიონთა ლიგაში უიღბლობის შემდეგ სერია **A** ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამას მძიმე ბრძოლის შედეგად მივაღწიეთ, ხოლო „მილანთან", „სან სიროზე" მოგებული შეხვედრა ჩემს კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და ემოციური გახლდათ. ერთი სიტყვით, მეექვსე სკუდეტო მოვიგე, რაც ძალიან მახარებს".

**გიორგი ძაძამიძე**

# ფული? არა, ფეხბურთის თამაში!
## ფიგუ ატლეტიკოსაც სურს



ლუიშ ფიგუ „ატლეტიკოს" ფანებს ვინძლო, ასეც მიესალმოს

**მადრიდის** „ატლეტიკო" ზაფხულში სენსაციურ ტრანსფერს გეგმავს — გაზეთ „ასის" ცნობით, კლუბში არც მეტი, არც ნაკლები, თვით ლუიშ ფიგუ ჩაირიცხება.

„ის, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო, ახლა სავსებით რეალურია. არახალია, ფიგუ „რეალში" თავს ჩვეულად ვერ გრძნობს, მწვრთნელ ვანდერლეი ლუშემბურგოსთანაც ცუდი ურთიერთობა აქვს და სავარაუდოდ, იგი „სანტიაგო ბერნაბეუზე" დარჩენაზე უარს იტყვის" — ვკითხულობთ ამ გაზეთის ფურცლებზე.

მთავარი კი ის არის, რომ „ატლეტიკოს" ბოსებს ფიგუსთან მოლაპარაკება უკვე გაუმართავთ და პორტუგალიელმაც წინასწარი თანხმობა განაცხადა, ოღონდაც ვითამაშო და სიამოვნებით გადმოვალო.

„რეალში" კი მას მართლაც უცნაურად ექცევიან. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სათადარიგოებში ჩაჩეხილმა „გალაქტიკოსმა" ერთ-ერთი ესპანური ტელეარხის ეთერში დაიჩივლა — „რეალს" მთელი ჩემი ძალა და მონდომება შევწირე, ესენი კი რას მიკეთებენ, ვანდერლეი ლუშემბურგომ უსაფუძვლოდ ამითვალწუნაო.

ლუიშ ფიგუ ხელფასის სახით „რეალში" ორ მილიონ ევროს იღებს, ხოლო „ატლეტიკოში" თუ გადავიდა, ბუნებრივია, ჯიბეც შეუთხელდება, თუმც პორტუგალიელი ამაზეც თანახმა ყოფილა, ფული მთავარი არ არის, თამაში ჯერ კიდევ შემიძლია და მინდაო.

ბოლოს კი გეტყვით, რომ „ატლეტიკოს", პორტუგალიის ნაკრებში ახლახან დაბრუნებული ფეხბურთელის ხელში ჩასაგდებად, მრისხანე და უფრო ფულიანი კონკურენტი ჰყავს „მანჩესტერ იუნაიტედის" სახით და ფიგუსაც ადრე რამდენჯერმე საჯაროდ გამოუხატავს სიმპათიები ალექს ფერგიუსონის გუნდისადმი.

**ლადო ხომერიკი**

*„მანჩესტერ იუნაიტედის" პორტუგალიელი ვარსკვლავი კრისტიანო რონალდო ირწმუნება, რომ „რეალის" მისდამი ინტერესზე არაფერი იცის და „ოლდ ტრეფორდის" დატოვება არც უფიქრია. ამასობაში, „წითელი შემაკების" მცველი რიო ფერდინანდი მანქანის გადაჭარბებული სიჩქარით მართვისთვის კიდევ ერთხელ დააჯარიმეს*

# რონალდომ არაფერი იცის
## არ გავცვლი მე ჩემს მანჩესტერს...

**როგორც** ბრიტანულ-ესპანური პრესა გვამცნობს, მადრიდის „რეალს" კრისტიანო რონალდოს ხელში ჩაგდება რა ხანია, უნდა და სანაცვლოდ „მანჩესტერს" ფულთან ერთად მის თანამემამულე ლუიშ ფიგუს უთმობს.

„არა მგონია, ასე მოხდეს. „რეალის" ინტერესის შესახებ არაფერი მსმენია. შესაძლოა, ჩემმა აგენტმა ხორხე მენდესმა იცის რამე. პირადად მე მხოლოდ „მანჩესტერზე" ვფიქრობ და კიდევ ერთხელ ვამბობ — აქ ყველა პირობა მაქვს შექმნილი იმისთვის, რომ არსად წასვლის სურვილი არ გამიჩნდეს. ამ თემაზე მეტს ვერაფერს ვიტყვი, დანარჩენს კი დრო გვაჩვენებს" — განაცხადა რონალდომ.

ამის შემდეგ „სპორტინგის" ყოფილმა ფეხბურთელმა გასულ უქმეებზე გამართულ ასოციაციის თასის ფინალზე და მომავალ სეზონზეც ისაუბრა.

„ჩვენ „არსენალზე" უკეთ ვითამაშეთ, მაგრამ ბედმა ზურგი გვაქცია და, სამწუხაროდ, გოლის გატანა ვერ შევძელით. ძალიან დასანანია, რომ ამ სეზონში უტიტულოდ დავრჩით. იმედია, მომავალში ყველაფერი გამოსწორდება. გუნდში კვლავ საბრძოლო განწყობაა და არც ამბიციები დაგვკლებია".

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, რიო ფერდინანდი კვლავ საგზაო წესების დარღვევისთვის დააკავეს. 26 წლის ფეხბურთელი ამგვარ შარში უკვე მეოხედ გაეხვა — 1997 წელს იგი ავტომობილს ნასვამი მართავდა, 2002 და 2003 წლებში კი გადაჭარბებული სისწრაფით.

ახლა „ლიდსის" ყოფილ მცველს მართვის უფლება 28 დღით ჩამოართვეს და 1 500 გირვანქით დააჯარიმეს.

**გიორგი ძაძამიძე**




რიო ფერდინანდი ურჩი მძღოლია




კრისტიანო რონალდო

### შვედეთი

ალსვენსკა. VII ტური

გიოტებორგი 3:0 იორგრიტე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰელსინგბორგი | 7 | 4 | 2 | 1 | 11:7 | 14 |
| ჰალმსტადი | 7 | 4 | 1 | 2 | 15:8 | 13 |
| ჰეკენი | 7 | 4 | 1 | 2 | 13:7 | 13 |
| მალმიო | 7 | 4 | 1 | 2 | 9:5 | 13 |
| იურგორდენი | 7 | 4 | 1 | 2 | 14:11 | 13 |
| კალმარი | 7 | 3 | 3 | 1 | 6:3 | 12 |
| გიოტებორგი | 7 | 3 | 3 | 1 | 7:5 | 12 |
| ჰამარბი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:10 | 8 |
| ლანდსკრონა | 7 | 2 | 2 | 3 | 9:13 | 8 |
| სუნდსვალი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:13 | 7 |
| ელფსბორგი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:13 | 7 |
| იორგრიტე | 7 | 2 | 1 | 4 | 10:16 | 7 |
| გეფლე | 7 | 2 | 0 | 5 | 6:12 | 6 |
| ასირისკა | 7 | 1 | 1 | 5 | 6:10 | 4 |

### პოლონეთი

I ლიგა. XXIV ტური

გროცლინი 1:0 ლეხი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 23 | 17 | 5 | 1 | 64:19 | 56 |
| გროცლინი | 24 | 16 | 2 | 6 | 46:25 | 50 |
| ლეგია | 23 | 11 | 7 | 5 | 35:19 | 40 |
| კრაკოვია | 23 | 11 | 4 | 8 | 31:21 | 37 |
| პლოცკი | 23 | 10 | 4 | 9 | 31:30 | 34 |
| ამიკა | 23 | 9 | 7 | 7 | 25:24 | 34 |
| ლეჩნა | 23 | 8 | 5 | 10 | 33:35 | 29 |
| გურნიკი | 23 | 7 | 7 | 9 | 26:26 | 28 |
| ლეხი | 24 | 8 | 4 | 12 | 29:39 | 28 |
| პოგონი | 23 | 6 | 9 | 8 | 27:37 | 27 |
| ზაგლებე | 23 | 6 | 8 | 9 | 28:37 | 26 |
| პოლონია | 23 | 7 | 5 | 11 | 26:45 | 26 |
| ოდრა | 23 | 6 | 3 | 14 | 23:36 | 21 |
| კატოვიცე | 23 | 3 | 4 | 16 | 22:53 | 13 |

Copa Toyota Libertadores '2005

### ლიბერტადორესის თასი 2005

მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

ინდეპენდიენტე მედელინი *(კოლუმბია)* 0:2 ბანფილდი *(არგენტინა)* (0:3)

გვადალახარა *(მექსიკა)* 3:1 პაჩუკა *(მექსიკა)* (1:1)

# ხალხი ითხოვს ანრის

## ვის მოითხოვს ლაპორტა?



ბარსელონაში ტიერი ანრიზე ამოდებთ

**ესპანეთის** ჩემპიონ „ბარსელონას“ ქომაგებმა კლუბის პრეზიდენტ ხუან ლაპორტას გუნდის კიდევ უფრო გასაძლიერებლად ახალი ფეხბურთელების ყიდვა სთხოვეს, ხმაურიანი ტრანსფერები გვწყურიაო. ქომაგთა რჩეულნი კი სამნი ყოფილან — ლონდონური „არსენალის“ ტიერი ანრი, მადრიდის „ატლეტიკოს“ ფერნანდო ტორესი და „სევილიას“ ბრაზილიელი ფორვარდი ჟულიო ბაპტისტა.

გუშინაც გაცნობეთ, რომ საგაისოდ, „კამპ ნოუზე“ მოხვედრის დიდი შანსი ფერნანდო ტორესს აქვს, თუმც, ბარსელონელ ფანთა ჯილა ტიერი ანრია. გუშინ ერთ-ერთმა ესპანურმა ტელეარხმა ამის თაობაზე გამოკითხვაც კი მოაწყო, სადაც ინჩასთა 61 პროცენტს სწორედ ანრის „კამპ ნოუზე“ ხილვა სურს.

მოგეხსენებათ, „ბარსას“ პრეზიდენტი ადრეც ცდილობდა ფრანგის ყიდვას, მაგრამ მაშინ „არსენალმა“ მტკიცე უარი განაცხადა. შედეგად, კატალონიურ გრანდში კამერუნელი სამუელ ეტოო აღმოჩნდა.

„ხუან ლაპორტას უყვარს გულშემატკივრებისთვის სიურპრიზების მოწყობა. ჯერ რონალდინიო, მერე კი ეტოო და დეკო იყიდა. ახლა კი ენახოთ, ვინ იქნება შემდეგი“ — გვამცნობს გუშინდელი „მარკა“.

**ლადო ხომერიკი**

# მტოოს მონანიებამ უშველა

## მხოლოდ 12 ათასით დასაჯეს

**კამერუნელი** სამუელ ეტოო დასაჯეს. მიუხედავად იმისა, რომ „ბარსელონას“ მეგოლემ ყოფილი კლუბის, მადრიდის „რეალის“ მისამართით გამოთქმული მაგარ-მაგარი სიტყვები საჯაროდ მოინანია, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ აფრიკელს მაინც დააკისრა 12 ათასი ევროს გადახდა.

შეგახსენებთ, რომ პრიმერადივიზიონის 36-ე ტურში, „ბარსას“ გაჩემპიონების შემდეგ „კამპ ნოუზე“ ჩატარებული ფიესტისას ეტოომ ზედმეტად გაილაღა და 95 ათასი ინჩასის თვალწინ მიკროფონში რამდენჯერმე ჩაჰყვირა — მადრიდელო ნაბიჭვრებო, ნამდვილ ჩემპიონებს მიესალმეთ.

მერე ამაზე მადრიდულ მედიაში ერთი ალიაქოთი ატყდა და სიხარულის ბახუსიდან გამოფხიზლებულმა ფეხბურთელმაც მეორე დღეს ტელევიზიით განაცხადა, ვიცი, გადავაჭარბე და ჩემს მადრიდელ მეგობრებს პატიებას ვთხოვო.

სთხოვა, როგორ არა, მაგრამ... „ის, რაც სამუელ ეტოომ „კამპ ნოუზე“ თქვა, შეურაცხყოფასა და ძალადობისკენ მოწოდებას ნიშნავს“ — დაასკვნეს ფეხბურთის ფედერაციაში.

გაზეთი „ელ მუნდო დეპორტივო“ კი გვამცნობს, რომ არა ალალი აღიარება, სამუელ ეტოოს თორმეტი კი არა, 30 ათასი ევროს გადახდა მოუწევდაო.

**ლადო ხომერიკი**



სამუელ ეტოოს „რეალის“ შეურაცხყოფა იაფი დაუჯდა

# დავიდსი გასარკვევს

# ზაფხულში გაარკვევს



ედგარ დავიდსი „ინტერიდან“ მიდის

**მილანის** „ინტერის“ ჰოლანდიელი ვარსკლავი ედგარ დავიდსი სამშობლოში ბრუნდება და სავარაუდოდ ან „ალკმაარში“ ითამაშებს, ანაც ამსტერდამის „აიაქსში“.

მოგეხსენებათ, დავიდსი „ინტერში“ გასულ ზაფხულს გადავიდა, სადაც მას სულ ცოტა, სამი წელი უნდა გაეტარებინა, თუმც ფეხბურთელსა და მწვრთნელ რობერტო მანჩინის შორის გაუგებრობა სეზონის შუაში მოხდა და „პიტბულიც“ სათადარიგოთა სკამზე ზის.

ჰოდა, რა გასაკვირია, თუ ედგარ დავიდსმა „ინტერის“ დატოვება გადაწყვიტა. იტალიური პრესის ცნობით, მანჩინი მოძულებულ შეგირდს არც დააბრკოლებს.

ერთი სიტყვით, აღდგომა და ხვალეო. მოვა ზაფხული და ედგარ დავიდსიც გასარკვევს მაშინ გაარკვევს.

**ლადო ხომერიკი**




**ინგლისური** „ბოლტონის“ თავკაცმა სემ ალარდაისმა ოლივიე დაკურთან და მის კლუბ „რომასთან“ დაიწყო მოლაპარაკება. „ბოლტონს“ 30 წლის ფეხბურთელის თხოვება უფრო უნდა, ვიდრე ყიდვა. ნისლიან ალბიონზე დაბრუნება თავად ფრანგსაც სურს. შეგახსენებთ, რომ იგი „რომაში“ გადასვლამდე „ლანსში“, „ევერტონსა“ და „ლიდსში“ თამაშობდა.

**ჩეხეთის** ნაკრების ნახევარმცველი იან პოლაკი „ლიბერეციდან“ „ნიურნბერგში“ გადაბარგდა. მან გერმანულ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „დიდი ხანია, იანს ვაკვირდებით და მიხარია, რომ მისი შეძენა მოვახერხეთ. იგი ერთ-ერთ საუკეთესო ჩეხ ფეხბურთელად ითვლება და იმედია, გუნდს გააძლიერებს“ — განაცხადა „ნიურნბერგის“ მთავარმა მწვრთნელმა ვოლფგანგ ვოლფმა.

**ფრანგულ** „ნანტს“ მომავალი სეზონიდან „ლილისა“ და „მონაკოს“ ყოფილი თავკაცი ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი გაწვრთნის. საინტერესოა, რომ ამ უკანასკნელმა ფეხბურთელობისას კარიერის საუკეთესო წლები სწორედ „ნანტში“ გაატარა. „საკმარისად დავისვენე და მხოლოდ კარგ საქმეს დავუბრუნდე. ძალიან მინდა, „ნანტი“ რთული მდგომარეობიდან გამოვიყვანო“ — აღნიშნა ჰალილჰოჯიჩმა.

**ესპანური** „დეპორტივო“ საცაა ფერნანდო ბაიანოს შეიძენს. როგორც ამბობენ, ლაკორუნიელები „სან კაეტანოს“ 26 წლის ფორვარდთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებენ. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელი გასულ სეზონში „მალაგაში“ იყო განათხოვრებული.

**იტალიური** „სამპდორიას“ მცველმა ჯულიო ფალკონემ გუნდთან კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა. 30 წლის ფეხბურთელს რამდენიმე მსურველი ჰყავდა, მაგრამ მან გენუაში დარჩენა ამჯობინა.

**პორტუგალიურმა** „ლეირიამ“ ბრაზილიელი ფორვარდი პაულო სეზარ როკა როსა შეიძინა, რომელმაც გასული სეზონი „რიუ ავეში“ გაატარა და საკმაოდ კარგადაც. აღვნიშნოთ, რომ 25 წლის ფეხბურთელს „ჟილ ვისენტესა“ და „გიმარაეშშიც“ უბურთავია.

**შვეიცარიის** ნაკრებისა და „გრასჰოპერის“ მცველი კრისტოფ შპიხერი სავარაუდოდ, „კიოლნში“ გადაბარგდება. ბუნდესლიგაში დაბრუნებული „თხები“ გაძლიერებაზე სერიოზულად ფიქრობენ და რამდენიმე ტრანსფერს ამზადებენ. 27 წლის ფეხბურთელის ფასი და შესაძლო კონტრაქტის სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

**გერმანული** „ვერდერის“ მცველ ვალერიან ისმაელის თქმით, იგი სიამოვნებით გადავა „ბაიერნში“. „ვიცი, მიუნხენელები ჩემით დაინტერესებულნი არიან და თუ წინადადებას მივიღებ, მას აუცილებლად დავთანხმდები. მიუხედავად იმისა, რომ „ვერდერი“ ძალიან მიყვარს, ასეთ შანსზე უარის თქმა შეუძლებელია“ — განაცხადა ფრანგმა.

**შოტლანდიურ** „დანდი იუნაიტედს“ მომავალ სეზონშიც გორდონ კიშოლმი უთავკაცებს. ამ უკანასკნელს ორი თვის წინ პოსტი დროებით ანდეს, მაგრამ მან გუნდი პრემიერლიგიდან გავარდნას გადაარჩინა და თასის ფინალში გაიყვანა, რითაც დანდელთა ხელმძღვანელობა ძალიან კმაყოფილი დარჩა.

**თურქი** მცველი ფათიჰ აკიელი საბერძნეთში გადაბარგდა. „ფენერბაჩესა“ და „ბოხუმის“ ყოფილი ფეხბურთელი პაოკ-ში ჩაირიცხა. „მინდა, თურქი და ბერძენი ხალხის ურთიერთობის დარეგულირებას ხელი შევუწყო. ამიტომ ეს წინადადება უყოყმანოდ მივიღე“ — აღნიშნა 28 წლის ფათიჰმა.

**გერმანული** „ჰამბურგის“ იაპონელმა ლეგიონერმა ნაოჰირო ტაკაჰარამ გუნდთან კონტრაქტი 2008 წლამდე გაახანგრძლივა. „გერმანია ჩემთვის მეორე სამშობლოსავით არის. ამიტომაც ბევრი არ მიფიქრია. ჩემი აზრით, კლუბიც კმაყოფილია“ — თქვა 28 წლის ფორვარდმა.

**შოტლანდიური** „სელტიკის“ თავკაცმა მარტინ ონილმა დაადასტურა, რომ გუნდს ტოვებს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ მის ადგილს გორდონ სტრაჩანი დაიკავებს. „სელტიკს“ ოჯახური პრობლემების გამო ვტოვებ და ძალიან მწყდება გული. დიდ მადლობას ვუხდი ხელმძღვანელებს, რომლებმაც მომცეს შანსი, ხუთ წელიწადს მემუშავა ამ ჩინებულ გუნდში“ — აღნიშნა ონილმა.

**ესპანური** „ბარსელონას“ ბრაზილიელმა ლიდერმა რონალდინიომ განაცხადა, რომ ტიერი ანრისთან ერთად თამაში მისი ერთ-ერთი ოცნებაა: „როდესაც ფეხბურთელებზე ვფიქრობ, ყველაზე მეტად „ბარსელონაში“ ანრის გადმოსვლას ვნატრობ. იგი ჩინებული მოთამაშეა და მის შეძენას თუ შევძლებთ, ორივე მხარისთვის ძალიან სასარგებლო იქნება“.

**იტალიურ** „მილანს“ სეზონის ბოლოს ფრანგი ნახევარმცველი ვიკაშ დორასო დატოვებს. დორასო სავარაუდოდ, „პარი სენ ჟერმენში“ გადაბარგდება. მოგეხსენებათ, 31 წლის ფეხბურთელი „შავ-წითლებს“ ამ სეზონის დასაწყისში თავისუფალი აგენტის სტატუსით „ლიონიდან“ შეუერთდა, თუმც კარლო ანჩელოტის გუნდის ძირითადში, კუთვნილი ადგილი ვერ დაიმკვიდრა. შეგახსენებთ, დორასოს გარდა ზაფხულში „მილანის“ დატოვებას კიდევ ოთხი ფეხბურთელი — კრისტიან აბიატი, დარიო შიმიჩი, კრისტიან ბროკი, იონ დალ ტომასონი — ეშურება.

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

**ინგლისი. ჩემპიონატი**
**30 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 547 | ვესტ ჰემი-პრესტონი | 2.25 | 3.2 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.5 |

**ინგლისი. I ლიგა**
**29 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 548 | ჰარტლპული-შეფილდი | 3.0 | 3.2 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |

**ინგლისი. II ლიგა**
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 549 | საუთენდი-ლინკოლნი | 2.35 | 3.2 | 2.7 | 1.35 | 1.25 | 1.46 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**
**26 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 19 | ადმირა-ზალცბურგი | 1.9 | 3.3 | 3.5 | 1.2 | 1.23 | 1.69 |
| 20:30 | 20 | ბრეგენცი-გრაცერი | 4.8 | 3.7 | 1.55 | 2.08 | 1.17 | 1.09 |
| 20:30 | 21 | რაპიდი-აუსტრია | 2.35 | 3.1 | 2.75 | 1.33 | 1.26 | 1.45 |
| 20:30 | 22 | შტურმი-პაშინგი | 2.45 | 3.3 | 2.5 | 1.4 | 1.23 | 1.42 |
| 20:30 | 23 | ტიროლი-მატერსბურგი | 1.8 | 3.3 | 4.1 | 1.16 | 1.25 | 1.82 |

**შვეიცარია. ჩელენჯლიგა**
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 45 | ბადენი-ვოლენი | 1.6 | 3.5 | 4.5 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 21:30 | 47 | კიასო-ვადუცი | 2.25 | 3.3 | 2.65 | 1.33 | 1.21 | 1.46 |
| 19:30 | 48 | შო დე ფონი-კონკორდია | 1.85 | 3.3 | 3.5 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 21:30 | 49 | ლუგანო-მეირინი | 1.7 | 3.3 | 4.2 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 21:30 | 51 | სიონი-კრინსი | 1.35 | 4.5 | 6.0 | 1.03 | 1.1 | 2.57 |
| 19:30 | 52 | ვილი-ბელინცონა | 2.35 | 3.2 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |

**იტალია. სერია A**
**29 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 54 | ბოლონია-სამპდორია | 1.75 | 4.1 | 3.4 | 1.22 | 1.15 | 1.85 |
| 17:00 | 55 | ფიორენტინა-ბრეშა | 1.6 | 4.0 | 4.4 | 1.14 | 1.17 | 2.09 |
| 17:00 | 56 | ინტერი-რეჯინა | 1.65 | 2.2 | 8.5 | 1.0 | 1.38 | 1.74 |
| 17:00 | 58 | იუვენტუსი-კალიარი | 1.35 | 3.6 | 10.0 | 1.0 | 1.18 | 2.64 |
| 17:00 | 60 | ლეჩე-პარმა | 5.5 | 2.8 | 1.7 | 1.85 | 1.29 | 1.05 |
| 17:00 | 61 | მესინა-ლივორნო | 2.0 | 2.0 | 8.0 | 1.0 | 1.6 | 1.6 |
| 17:00 | 62 | პალერმო-ლაციო | 4.5 | 1.4 | 5.0 | 1.06 | 2.36 | 1.09 |
| 17:00 | 63 | რომა-კიევო | 4.6 | 1.8 | 2.8 | 1.29 | 1.74 | 1.09 |
| 17:00 | 65 | უდინეზე-მილანი | 1.5 | 3.5 | 6.0 | 1.04 | 1.2 | 2.21 |

**იტალია. სერია B**
**27 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 70 | ბარი-პესკარა | 1.95 | 2.3 | 5.0 | 1.05 | 1.4 | 1.57 |

**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 69 | ასკოლი-პერუჯა | 2.6 | 2.1 | 3.6 | 1.16 | 1.5 | 1.32 |
| 22:30 | 71 | კატანია-მოდენა | 2.95 | 2.6 | 2.25 | 1.38 | 1.27 | 1.2 |
| 22:30 | 72 | კროტონე-პიაჩენცა | 1.85 | 3.3 | 3.4 | 1.18 | 1.19 | 1.67 |
| 22:30 | 73 | ტერნანა-ტორინო | 3.6 | 2.6 | 2.05 | 1.5 | 1.3 | 1.14 |
| 22:30 | 75 | ტრიესტინა-ვიჩენცა | 1.95 | 2.6 | 4.2 | 1.11 | 1.33 | 1.6 |
| 22:30 | 76 | ვერონა-სალერნიტანა | 1.85 | 2.6 | 4.7 | 1.08 | 1.32 | 1.67 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 83 | სოსიედადი-ბარსელონა | 3.25 | 3.2 | 2.05 | 1.61 | 1.25 | 1.24 |
| 23:00 | 87 | სარაგოსა-რეალი | 3.0 | 3.2 | 2.2 | 1.54 | 1.26 | 1.3 |

**29 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 77 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.75 | 3.3 | 4.3 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 23:00 | 78 | ესპანიოლი-ბილბაო | 1.65 | 3.5 | 4.8 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 23:00 | 79 | მალიორკა-ბეტისი | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 23:00 | 80 | ნუმანსია-დეპორტივო | 2.65 | 3.3 | 2.45 | 1.46 | 1.27 | 1.4 |
| 21:00 | 81 | რასინგი-ალბასეტე | 1.7 | 3.6 | 4.5 | 1.15 | 1.23 | 2.0 |
| 23:00 | 82 | სევილია-მალაგა | 1.35 | 4.5 | 7.5 | 1.03 | 1.14 | 2.81 |
| 23:00 | 84 | ვალენსია-ოსასუნა | 1.4 | 4.0 | 7.0 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 23:00 | 85 | ვილიარეალი-ლევანტე | 1.45 | 4.1 | 5.8 | 1.07 | 1.15 | 2.4 |

**საფრანგეთი**
**I დივიზიონი**
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 100 | აიაჩო-სოშო | 1.55 | 3.8 | 5.0 | 1.1 | 1.18 | 2.15 |
| 22:00 | 101 | ოსერი-ლილი | 2.6 | 2.9 | 2.65 | 1.37 | 1.31 | 1.38 |
| 22:00 | 102 | ბორდო-მარსელი | 2.55 | 2.7 | 2.9 | 1.31 | 1.35 | 1.39 |
| 22:00 | 103 | ისტრი-კაენი | 4.5 | 3.7 | 1.6 | 2.03 | 1.18 | 1.11 |
| 22:00 | 104 | ლანსი-ტულუზი | 1.8 | 3.1 | 4.3 | 1.13 | 1.26 | 1.8 |
| 22:00 | 105 | ლიონი-ნიცა | 1.4 | 3.9 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.43 |
| 22:00 | 107 | მონაკო-სტ.ეტიენი | 1.6 | 3.6 | 4.8 | 1.1 | 1.2 | 2.05 |
| 22:00 | 108 | ნანტი-მეცი | 1.75 | 3.4 | 3.9 | 1.15 | 1.2 | 1.81 |
| 22:00 | 109 | პსჟ-რენი | 2.35 | 3.0 | 2.8 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| 22:00 | 110 | სტრასბური-ბასტია | 3.45 | 3.5 | 1.85 | 1.73 | 1.2 | 1.21 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი**
**27 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 111 | ამიენი-გენიონი | 1.95 | 2.8 | 3.8 | 1.14 | 1.28 | 1.61 |
| 22:45 | 112 | ანჟე-შატორუ | 2.45 | 2.7 | 2.9 | 1.28 | 1.32 | 1.39 |
| 22:45 | 113 | კლერმონი-ლე მანი | 2.85 | 2.7 | 2.5 | 1.38 | 1.33 | 1.29 |
| 22:45 | 114 | კრეტეი-რეიმსი | 1.95 | 2.9 | 3.8 | 1.16 | 1.28 | 1.64 |
| 22:45 | 115 | დიჟონი-ლავალი | 1.75 | 3.1 | 4.5 | 1.11 | 1.25 | 1.83 |
| 22:45 | 116 | გენგამი-გრენობლი | 1.8 | 3.0 | 4.1 | 1.12 | 1.25 | 1.73 |
| 22:45 | 117 | ლორიანი-სედანი | 2.3 | 2.8 | 3.1 | 1.26 | 1.32 | 1.47 |
| 22:45 | 118 | ნანსი-ბრესტი | 1.6 | 3.2 | 5.2 | 1.06 | 1.22 | 1.98 |
| 22:45 | 119 | ნიორი-ლე ავრი | 2.5 | 2.7 | 2.8 | 1.29 | 1.32 | 1.37 |
| 22:45 | 120 | ტრუა-მონპელიე | 1.85 | 2.9 | 4.3 | 1.12 | 1.29 | 1.73 |

**ბელგია. I დივიზიონი**
**26 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 359 | სტანდარდი-გენკი | 1.9 | 3.2 | 3.7 | 1.19 | 1.25 | 1.71 |

**ბელგია. II დივიზიონი**
**26 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 121 | გეელი-ანტვერპენი | 1.9 | 3.2 | 3.4 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 22:30 | 122 | ვაასლანდი-რუზელარე | 3.1 | 3.3 | 2.0 | 1.59 | 1.21 | 1.24 |

**რუსეთი**
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 146 | ალანია-როსტოვი | 1.85 | 3.0 | 4.2 | 1.14 | 1.28 | 1.75 |
| 15:00 | 147 | ცსკა-მოსკოვი | 1.7 | 3.3 | 4.8 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 15:00 | 148 | კრილია-სპარტაკი | 2.7 | 2.8 | 2.6 | 1.37 | 1.32 | 1.34 |
| 14:00 | 149 | ლოკომოტივი-დინამო | 1.6 | 3.5 | 4.5 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 15:00 | 150 | ტერეკი-ამკარი | 1.95 | 3.0 | 3.6 | 1.18 | 1.26 | 1.63 |
| 15:00 | 151 | ტომსკი-რუბინი | 2.15 | 2.9 | 3.2 | 1.23 | 1.28 | 1.52 |
| 15:00 | 152 | ტორპედო-შინიკი | 1.55 | 3.6 | 5.0 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 15:00 | 153 | ზენიტი-სატურნი | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**ხორვატია**
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 189 | ზაგრები-სლავენი | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |
| 19:00 | 190 | რიეკა-ინტერი | 2.35 | 3.4 | 2.4 | 1.38 | 1.18 | 1.4 |
| 19:00 | 191 | ჰაიდუკი-ვარტექსი | 1.15 | 6.0 | 10.0 | 1.0 | 1.03 | 3.75 |

**უნგრეთი**
**26 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 195 | ზალაეგერსეგი-დებრეცენი | 2.5 | 3.0 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| 20:00 | 196 | დიოშდიორი-უიპეშტი | 3.5 | 3.2 | 1.9 | 1.67 | 1.23 | 1.19 |
| 20:00 | 197 | ეტო-ტატაბანია | 1.35 | 3.8 | 7.7 | 1.0 | 1.14 | 2.54 |
| 20:00 | 198 | ჰონვედი-ფერენცვაროში | 4.2 | 3.5 | 1.65 | 1.9 | 1.18 | 1.12 |
| 20:00 | 199 | კაპოშვარი-ნირედიჰაზა | 1.6 | 3.5 | 4.5 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 20:00 | 200 | პეჩი-ბეკეშჩაბა | 1.4 | 3.8 | 6.5 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 20:00 | 201 | მტკ-ვაშაში | 1.25 | 5.0 | 8.0 | 1.0 | 1.08 | 3.07 |
| 20:00 | 202 | ვიდეოტონი-სოპრონი | 1.95 | 3.2 | 3.3 | 1.21 | 1.22 | 1.62 |

**დანია. სუპერლიგა**
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 203 | ოლბორგი-ბრიონდბიუ | 2.7 | 3.2 | 2.4 | 1.46 | 1.27 | 1.37 |

**29 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 204 | ორჰუსი-ვიბორგი | 2.3 | 3.2 | 2.9 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 17:00 | 205 | ესბიერგი-ოდენსე | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 17:00 | 206 | ნორდსიელანდი-რანდერსი | 1.95 | 3.3 | 3.5 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 17:00 | 207 | ჰერფიოლგე-სილკებორგი | 2.4 | 3.2 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 19:30 | 208 | მიდტიულანდი-კოპენჰაგენი | 2.65 | 3.2 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |

**დანია. I დივიზიონი**
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 209 | ჰელერუპი-ჰორსენსი | 3.5 | 3.4 | 1.85 | 1.72 | 1.21 | 1.19 |
| 17:00 | 210 | სკიოლდი-ბრიონსჰიოი | 1.65 | 3.8 | 4.0 | 1.15 | 1.16 | 1.94 |

**29 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 211 | ფრედერისია-ბ 93 | 1.6 | 3.7 | 4.5 | 1.11 | 1.18 | 2.03 |
| 15:00 | 212 | ფრემი-აკადემისკი | 1.5 | 3.8 | 5.2 | 1.07 | 1.16 | 2.19 |
| 15:00 | 213 | ფრემადი-დალუმი | 1.75 | 3.7 | 3.7 | 1.18 | 1.18 | 1.85 |
| 17:00 | 214 | ნესტვედი-იოლსტიკე | 2.4 | 3.6 | 2.34 | 1.44 | 1.18 | 1.41 |
| 17:00 | 215 | სიონდერიისკე-კიოგე | 1.75 | 3.7 | 3.6 | 1.18 | 1.17 | 1.82 |
| 17:00 | 216 | ვეილე-ნიკიობინგი | 1.9 | 3.8 | 3.2 | 1.26 | 1.19 | 1.73 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**
**29 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 218 | ალესუნდი-ფრედრიკსტადი | 2.45 | 3.1 | 2.7 | 1.36 | 1.28 | 1.44 |
| 20:00 | 219 | ჰამარი-ვიკინგი | 2.3 | 3.2 | 2.9 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 20:00 | 220 | მოლდე-ბოდიო გლიმტი | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| 20:00 | 221 | ოდ გრენლანდი-როზენბორგი | 3.8 | 3.4 | 1.8 | 1.79 | 1.22 | 1.17 |
| 20:00 | 222 | ტრომსიო-ლილესტრიომი | 2.35 | 3.3 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 22:05 | 223 | ბრანი-ლინი | 1.95 | 3.4 | 3.5 | 1.23 | 1.25 | 1.72 |

**30 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 224 | ვოლერენგა-სტარტი | 1.8 | 3.4 | 4.2 | 1.17 | 1.25 | 1.87 |

**ნორვეგია. I დივიზიონი**
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 225 | სოგნდალი-ალტა | 1.15 | 6.0 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 4.0 |

**29 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 226 | ტონსბერგი-მოსი | 2.0 | 3.8 | 2.8 | 1.31 | 1.16 | 1.61 |
| 20:00 | 227 | ფოლო-სტრიომსგოდსეტი | 2.45 | 3.7 | 2.25 | 1.47 | 1.17 | 1.39 |
| 20:00 | 228 | ჰიოდი-სტაბეკი | 3.4 | 4.0 | 1.8 | 1.83 | 1.17 | 1.24 |
| 20:00 | 229 | კონგსვინგერი-ბრინი | 2.45 | 3.7 | 2.35 | 1.47 | 1.19 | 1.43 |
| 20:00 | 230 | მანდალი-ჰიონეფოსი | 2.05 | 4.0 | 2.7 | 1.35 | 1.16 | 1.61 |
| 20:00 | 231 | სანდეფიორდი-ლოვ ჰამი | 1.25 | 6.0 | 8.0 | 1.03 | 1.08 | 3.42 |
| 20:00 | 232 | სკეიდი-ჰორს გრენლანდი | 2.05 | 4.0 | 2.7 | 1.35 | 1.16 | 1.61 |

**შვედეთი. ალსვენსკა**
**29 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 237 | ასირისკა-სუნდსვალი | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 19:00 | 238 | გეფლე-ჰალმსტადი | 3.6 | 3.4 | 1.9 | 1.74 | 1.24 | 1.21 |
| 19:00 | 239 | მალმიო-იორგრიტე | 1.45 | 4.0 | 6.0 | 1.06 | 1.16 | 2.4 |
| 19:15 | 240 | კალმარი-იურგორდენი | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |

**30 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 241 | ლანდსკრონა-ჰელსინგბორგი | 2.7 | 3.2 | 2.4 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 21:00 | 242 | გიოტებორგი-ელფსბორგი | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 21:00 | 243 | ჰამარბი-ჰეკენი | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | 1.76 |

**ირლანდია**
**27 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 268 | უოტერფორდი-დროგედა | 2.3 | 3.0 | 2.9 | 1.3 | 1.28 | 1.47 |
| 22:45 | 269 | ბოჰემიანი-შელბურნი | 2.75 | 3.1 | 2.25 | 1.45 | 1.23 | 1.3 |
| 22:45 | 270 | კორკი-დერი | 1.95 | 3.1 | 3.5 | 1.19 | 1.25 | 1.64 |
| 22:45 | 271 | სტ.პატრიკსი-ლონგფორდი | 2.15 | 3.0 | 3.1 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| 22:45 | 272 | დუბლინი-შემროკი | 2.35 | 3.0 | 2.8 | 1.31 | 1.27 | 1.44 |

**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 273 | ჰერპსი-ბრეი | 2.35 | 3.0 | 2.75 | 1.31 | 1.26 | 1.43 |

**მექსიკა**
**26 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 618 | ტეკოსი-ამერიკა | 1.9 | 3.3 | 3.4 | 1.2 | 1.21 | 1.67 |

**გერმანია. თასი**
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 333 | შალკე-ბაიერნი | 3.5 | 3.3 | 1.9 | 1.69 | 1.23 | 1.2 |

**შოტლანდია. თასი**
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 334 | სელტიკი-დანდი იუნაიტედი | 1.2 | 5.0 | 11.0 | 1.0 | 1.08 | 3.43 |

**ბელგია. თასი**
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 335 | ბრიუგე-ბეერსხოტი | 1.4 | 4.0 | 7.0 | 1.03 | 1.16 | 2.54 |

**ჰოლანდია. თასი**
**29 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 336 | პსვ-ტილბურგი | 1.35 | 4.5 | 6.5 | 1.03 | 1.11 | 2.65 |

**პორტუგალია. თასი**
**29 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 337 | ბენფიკა-სეტუბალი | 1.4 | 4.0 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.47 |

**როიალ ლიგა**
**26 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:35 | 340 | გიოტებორგი-კოპენჰაგენი | 2.35 | 3.2 | 2.6 | 1.35 | 1.23 | 1.43 |

**ლიბერტადორესის თასი**
**26 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 346 | ბოკა ხუნიორსი-ხუნიორი | 1.3 | 5.0 | 8.0 | 1.03 | 1.11 | 3.07 |
| 23:45 | 347 | რივერ პლეიტი-უნივერსიტარია | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 23:45 | 348 | ტიგრესი-ონსე კალდასი | 1.65 | 3.4 | 4.3 | 1.11 | 1.19 | 1.89 |

**ჩოგბურთი.კაცები Roland Garros**
**26 მაისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13:00 | 601 | კორია-ჯიკოვიჩი | 1.04 | 6.0 |
| 13:00 | 602 | იუჟნი-მელცერი | 1.7 | 1.9 |
| 13:00 | 603 | ჰაასი-სპეიდი | 1.25 | 3.2 |
| 13:00 | 604 | დავიდენკო-როხუსი | 1.35 | 3.0 |
| 13:00 | 605 | რობრედო-ნორმანი | 1.2 | 3.6 |
| 13:00 | 606 | სანჩესი-იოჰანსონი ტ | 1.9 | 1.7 |
| 13:00 | 607 | ფერერო-ჰერნიხი | 1.1 | 5.5 |
| 13:00 | 608 | საფინი-დლოუჰი | 1.1 | 5.5 |
| 13:00 | 609 | ანდრეევი-ნიემინენი | 1.8 | 1.9 |
| 13:00 | 610 | კიფერი-კლემანი | 1.7 | 1.9 |
| 13:00 | 611 | მატი-გუკსონი | 1.15 | 4.4 |
| 13:00 | 612 | კანასი-მონტანესი | 1.15 | 4.0 |
| 13:00 | 613 | პუერტა-ვლიეგენი | 1.25 | 3.5 |
| 13:00 | 614 | ვავრინკა-ბლეიკი | 1.7 | 1.9 |
| 13:00 | 615 | ვოლანდრი-სარეტა | 1.2 | 3.8 |
| 13:00 | 616 | როდიკი-აკასუსო | 1.35 | 2.6 |

**ჩოგბურთი.ქალები Roland Garros**
**26 მაისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13:00 | 587 | ბოვინა-გარბინი | 1.2 | 3.5 |
| 13:00 | 588 | დეში-სტოსური | 1.25 | 3.0 |
| 13:00 | 589 | დულკო-ირვინი | 1.25 | 3.5 |
| 13:00 | 590 | კუზნეცოვა-არვიდსონი | 1.05 | 6.0 |
| 13:00 | 592 | ლაგოსტერა-ბრანდი | 1.3 | 3.0 |
| 13:00 | 593 | მედინა-მალეევა | 1.45 | 2.5 |
| 13:00 | 594 | პეტროვა-ბელტრეიმი | 1.12 | 4.5 |
| 13:00 | 595 | შარაპოვა-რეზაი | 1.05 | 7.0 |
| 13:00 | 596 | ენინი-პასკუალი | 1.05 | 6.0 |
| 13:00 | 597 | მორესმო-კორნე | 1.05 | 7.0 |
| 13:00 | 598 | პეშკე-პირი | 1.4 | 2.5 |
| 13:00 | 599 | სმაშნოვა-გრენეფელდი | 1.45 | 2.5 |
| 13:00 | 600 | სკიავონი-ვაიდისოვა | 1.7 | 1.9 |

ძიუდო



ჯარჯი ზვიადაური „საგარეჯოს“ გერმანიაში შეუერთდება

# ვარაზი, უზბეკი და საგარეჯო

**ევროპის** ჩემპიონატიდან დაბრუნებული საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები მორიგი საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადება: 2 ივნისს აბენსბერგში გერმანია ევროპის საკლუბო ჩემპიონატი გახურდება, რომელშიც ახალი ქართული კლუბი „საგარეჯოც“ გამოვა.

საქართველოს ნაკრების ბაზაზე შექმნილი და ლეგიონერებით გაძლიერებული კლუბი შოთა ხაბარელმა თბილისში, სასტუმრო „ვარაზში“ შეკრიბა და ვაკის დარბაზში დღეში ორჯერ ავარჯიშებს.

„საგარეჯოს“ სრულ შემადგენლობას გუშინ საღამოს საბერძნეთის ნაკრების წევრები რევაზ ცირიღისი (66 კგ რუსლან გედენიძე) და ილიას ილიადისი (81 კგ ჯარჯი ზვიადაური) აკლდნენ. ცირიღისი თბილისში დღეს ჩამოდის, ხოლო ილიადისი, რომელიც ჯერაც იმუშებს ნაოპერაციევ ფეხს, გუნდს პირდაპირ გერმანიაში შეუერთდება. მესამე ლეგიონერი, მსოფლიოს პრიზიორი უზბეკი მძიმეწონოსანი აბდულ ტანგრიევი კი უკვე „ვარაზშია“ და დღეს ივარჯიშებს კიდეც.

კენჭისყრამ ქართული კლუბი პირველსავე ეტაპზე ერთ-ერთ ფავორიტს და, რაც მთავარია, ეტაპის მასპინძელ „აბენსბერგს“ გადაჰყარა. ასე რომ 4 ივნისის ბრძოლის მნიშვნელობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მეორე წრეში გასვლის შემთხვევაში კი შედარებით სუსტი მეტოქე გველის.

„საგარეჯო“ გერმანიაში ტურნირის დაწყებამდე სამი დღით ადრე, სავარაუდოდ ათი სპორტსმენით გაემგზავრება, გუნდის თბილისური ვარჯიშების შესახებ კი უახლოეს დღეებში გამცნობთ.

**ოთარ გაღლაძელიძე**

ხელბურთი

## საქართველოს თასი

ვაჟები. 30 მაისი - 1 ივნისი

# ახლა თასის დროა

**ქართული** ხელბურთის სარეკორდოდ მარათონული სეზონი ერთ კვირაში, ეროვნული თასის გათამაშებით დასრულდება.

გუშინ ხელბურთის ასოციაციის ოფისში სათასო კენჭისყრა მოეწყო. თასის პრინციპი იმითაა გამორჩეულად საინტერესო, რომ ოლიმპიური სისტემით ტარდება და „ბრმა“ წილისყრის წინ ყველა მონაწილე ერთნაირ პირობებშია. მერე კი...

ლამაზი პრიზისთვის ბრძოლის სურვილი თავიდან რვა გუნდმა გამოთქვა, მაგრამ ბოლო მომენტში „ქუთაისმა“ უფულობის მიზეზით მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ეს კარგიცაა და ცუდიც. ცუდია იმიტომ, რომ გათამაშებას ერთ-ერთი ფავორიტი გამოაკლდა, კარგის ნიშანი კი ის გახლავთ, რომ ქუთაისურებს შარშან შემოდგომაზე ლუქსემბურგში იქაურ „იანგ ბოიზთან“ ჩელენჯ ქაფის თასის თამაშზე დაგვიანებისთვის ევროფედერაციაში დიდი ჯარიმა აქვთ გადასახდელი და მთელი ჯიბისხმევა ახლა ამისკენ უნდა მიმართონ.

სხვაფრივ, სათასო კენჭისყრას დიდი ვნებათაღელვა არ მოჰყოლია, მიუხედავად იმისა, რომ ბადის ზედა ნახევარში მოხვდა ჩემპიონატის სამივე პრიზიორი, ქვევით კი — ნაკლებად ძლიერები.

თავად განსაჯეთ: საქართველოს უცვლელი ჩემპიონი „სტუ-შევარდენი“ ბრინჯაოს პრიზიორს, აგრარული უნივერსიტეტის „მამულს“ ეთამაშება, ვიცე-ჩემპიონი „ხელბურთის კლუბი თბილისი“ — მეხუთეადგილოსან „თელავს“.

ქვედა ნახევარში ერთმანეთს დაეჯახნენ ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ოლიმპიური ცენტრის ჭაბუკთა გუნდი და „სამტრედია“, ხოლო „ქარიშხალა“ ქუთაისელთა უარის გამო უბრძოლველად გავიდა ნახევარფინალში.

სათასო თამაშები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში 30 მაისს დაიწყება და სამ დღეს გასტანს.

**გია ახალაძე**

კალათბურთი

# უმწვრთნელობის ბოლო დღე?
## თანხმობა არის, ველით ფაქსიმილეს

**საქართველოს** ეროვნულ ნაკრებს 99-პროცენტით ახალი მწვრთნელი ჰყავს დანიშნული. კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანის თქმით, მხოლოდ ერთი პროცენტი არსებობს იმისა, რომ მათ მიერ შერჩეულმა სპეციალისტმა ჩვენი ეროვნული გუნდი არ ჩაიბაროს.

„ყველაფერი შეთანხმებულია და სიტყვიერი დასტურიც მივიღეთ. ახლა ხელმოწერილი კონტრაქტის ასლს ველით და სავარაუდოდ პარასკევს საქვეყნოდ გამოვაცხადებთ ახალი მწვრთნელის ვინაობას — ამბობს ფედერაციის შეფი — საგანგებო პრესკონფერენციაზე ყველა საინფორმაციო საშუალებას მოვიხმობთ და თითოეული მათგანი იქ შეიტყობს მის სახელს. მანამდე კი პირობას ვიძლევი, რომ არავის არ ექნება იმის ოფიციალური ინფორმაცია, თუ რომელი სპეცლიალისტი შევარჩიეთ“.

პრესკონფერენციას თავად მწვრთნელი ვერ დაესწრება, რაკი მისი გუნდი ახლა პლეი ოფში იბრძვის. მისი ვინაობის არაოფიციალური წყაროებიდან გაგებას, ეთიკის ნორმებიდან გამომდინარე, მოვერიდებით, პარასკევამდე ხომ სულ რაღაც ერთი დღე რჩება — მოვითმინოთ და მერე ყველამ ერთად შევიტყოთ ეროვნული ნაკრების ახალი მესაჭის სახელი.

**ირაკლი პერტაია**



დრაგენ ბრაიკოვიჩის (მარჯვნივ) ადგილს ბესიკ ლიპარტელიანი დღე-დღეზე სხვა მწვრთნელს ჩააბარებს

# ახალგაზრდები მქვსში იწყებენ
## კანდელაკის რაზმს მარხვაშვილი გამოაკლდა

**ეროვნული** ჩემპიონატი დასრულდა და სანაკრებო თემა ახლა უფრო აქტუალური გახდა. ეროვნულ ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი გამოუჩნდა, რომელიც ქვეყნის პირველ გუნდს სექტემბრის უმნიშვნელოვანესი მატჩებისთვის მოამზადებს, თუმც ის ოფიციალურად ჯერ არ დანიშნულა და არც მის ვინაობას ახმაურებენ კალათბურთის ფედერაციაში.

ნაკრების ჯერ არდანიშნული მწვრთნელის თანაშემწე ნუგზარ კანდელაკი კი უკვე საქმეს შეუდგა — ის ხომ ახალგაზრდული გუნდის თავკაცია, რომელიც 8 ივლისიდან ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაებმება.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი ახალგაზრდები, ისევე როგორც ეროვნული ნაკრები, B დივიზიონში იმყოფებიან და ამ ციკლში მხოლოდ უძლიერესთა შორის ადსაზევებლად თუ იბრძოლებენ. საამისოდ მათ ბულგარეთში ისლანდიის, პოლონეთის, ირლანდიის, ფინეთისა და სლოვაკეთის ნაკრებებთან მოუწევთ ბრძოლა. ნუგზარ კანდელაკმა უკვე შეარჩია ის 22 კალათბურთელი, რომელთაგანაც ბულგარეთში გასამგზავრებელ თორმეტს ამოარჩევს.

„შეკრებას 6 ივნისს დავიწყებთ „დინამოს“ ბაზაზე. ახლა ნაკრების იმ კანდიდატებთან ვათანხმებთ ვადებს, რომლებიც ამ თარიღისთვის თბილისში ვერ ჩამოვლენ. მანუჩარ მარკოიშვილს სლოვენიის ჩემპიონატში საპლეიოფო მატჩები ელის, ვიქტორ სანიკიძეს კი ამერიკაში სურს გამგზავრება „სან ანტონიოს“ კემპზე. შეიძლება, 6-ში შეკრებაზე კიდევ რამდენიმე კალათბურთელი ვერ მოვიდეს, მაგრამ ბულგარული ტურნირისთვის ყველანი თავისუფლები იქნებიან“ — გვითხრა ნუგზარ კანდელაკმა.

ახალგაზრდების თავკაცის მიერ თავდაპირველად გამოცხადებულ 22-კაციან სიას თსუ-ელი გიორგი მარხვაშვილი გამოაკლდა, რომელსაც საბუთები არ ჰქონია წესრიგში. კანდელაკმა გვითხრა, მარხვაშვილის ნაცვლად არავის არ დავამატებ, ჩემს განკარგულებაში მყოფი ხალხი საკმარისია ღირსეული ნაკრების შესარჩევადო.

რაც შეეხება უცხოურ მისამხადებელ შეკრებას, ამაზე ჯერაც მიმდინარეობს რამდენიმე ქვეყნის ფედერაციასთან მოლაპარაკებები და სავარაუდოდ, ჩვენი ახალგაზრდები რომელიმე საერთაშორისო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. შეკრების დაწყების წინ ფედერაცია პრესკონფერენციას მოაწყობს და ალბათ ყველაფერი მაშინ გაირკვევაო, გვითხრა კანდელაკმა.

**ირაკლი პერტაია**



## NBA PLAY OFF 2005 მეორე წრე




იდგნენ ფინიქსელები და უყურებდნენ, როგორ ყრიდა ბურთებს ტიმ დანკანი

# მოვა დრო, გაიზრდებით
## სან ანტონიომ ფინიქსი შინ დაიბარა

24 მაისი

**დასავლეთი**

ფინიქსი 0:2 სან ანტონიო

**ფინიქსი 108:111 სან ანტონიო**

**ფინიქსი:** ნეში (29 ქულა, 15 პასი), ჯექსონი (6), რიჩარდსონი (18), მარიონი (11 ქულა, 12 მოხსნა), სტუდემაიერი (37); ჰანტერი (7), ბარბოსა, მაკკარტი
**სან ანტონიო:** პარკერი (24), ჯინობილი (26), ბოუენი (3), დანკანი (30), მუჰამედი (11); ჰორი (10), ბერი (5), უდრიჰი (2), ნესტეროვიჩი

**სულ** გათავხედდნენ სანანტონიოელები, აქაოდა, მეტოქეზე მეტი საპლეიოფო გამოცდილება გვაქვსო, საერთოდ დაკარგეს მასპინძელთა რიდი და შიში.

ეს ხუმრობით, თუმც „სან ანტონიოს“ არასერიოზულობისა არაფერი ეტყობა და არც „ფინიქსს“ აქვს საქმე სახუმაროდ. კი, ბატონო, ყოფილა შემთხვევები, ამა თუ იმ გუნდს შინ პირველი ორი თამაში წაუგია და მერე სტუმრად ამოუღია დანაკარგი. რაღა ისტორიაში ვიქექოთ, აგერ, წლეულს „დალასმა“ სწორედ ორი შინაური წაგების შემდეგ აჯობა „ჰიუსტონს“, მაგრამ „სან ანტონიოს“ რომ ვუყურებთ, რაღაც არ გვეჩვენება ისეთ ქარაფშუტად, საქმე მოთავებულად ჩათვალოს და შინ ნასტუმრებ მეტოქეს ბურთი და მოედანი დაუთმოს. „სფურზმა“ ამ პლეი ოფის პირველივე შინაური მატჩი „დენვერს“ რომ აჩუქა, მას თავისი „ესბისი სენთერიდან“ გამარჯვებული არავინ გამოუშვია, ხოლო რეგულარულში 41 სამასპინძლო მატჩიდან მხოლოდ სამი დაუთმო სტუმრებს.

ერთი სიტყვით, ამ სერიაში თუნდაც ზედაპირული ჩახედვის შემდეგ იმას მოგახსენებთ, რომ ჰაეროვან და ლაღ ფინიქსელებს მთლად სალაღობოდ ვერა აქვთ საქმე.

„ფინიქს სანზი“ არც ახლა თამაშობს ცუდად. ყოველ მატჩში 110 ქულის მგროვებელ გუნდს ამას, აბა, როგორ ვაკადრებთ, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ მარცხდება და ბოლო თვენახევარში პირველად რომ გადაება წაგებები, ამის მიზეზად ყველა საპლეიოფო გამოცდილების ნაკლულობას ასახელებს. გრეგ პოპოვიჩს, თქმაც ზედმეტია და, მაიკ დანტონიზე მეტი უნახავს, უმწვრთნელია და მოუგია. ამ სახელაჩეხილმა გენერალმა ისიც კარგად იცის, რომ გამარჯვებულ შემადგენლობას არ ცვლიან. ჰოდა, მან პირველი გამარჯვების შემდეგ არც ხუთეული შეცვალა და არც ტაქტიკა. მისდა სამწუხაროდ, არც დანტონიმ შეცვალა რამე და შედეგად სან ანტონიოში მოუგებელი ჩავა.

„სიეტლთან“ ერთ-ერთი ჯახისას დამტვრეული ჯო ჯონსონი „ფინიქსის“ ხუთეულში ჯიმ ჯეკსონმა შეცვალა და რიგიანადაც. „სანზმა“ სისწრაფეც შეინარჩუნა, სიზუსტეც და მართალია, დანტონი ყოველ თამაშს ძველი ხუთეულით — ნეში, ჯეკსონი, რიჩარდსონი, მარიონი, სტუდემაიერი — იწყებს, მაგრამ „სან ანტონიოსთან“ „ცუდად მიეჩვია“ სათადარიგო ცენტრ სტივ ჰანტერის გამოყვანას და მოთამაშე ხუთეულისთვის ერთ-ერთი უკანასაზელის მოკლებას. თეორიულად მართებულად კი მოიქცა — მარტო ამარე სტუდემაიერი როგორ გასწვდება 213-სანტიმეტრიან ტიმ დანკანთან და თითქმის მისხელა ნაზრ მუჰამედს, მაგრამ ამარესთვის სტივ ჰანტერის მიშველებამ უკუშედეგი გამოიღო. ჩვეულებრივ თავდამსხმელად გამწესებული შონ მარიონი ფრთაზე დაბრუნდა. აქ კი „სან ანტონიოს“ ტკიპა ბრიუს ბოუენი ჰყავს, რომელმაც კინაღამ დეტროიტელ ბენ ვოლესს აჯობა სეზონის საუკეთესო დამცველის გამოკითხვაში. ბოუენის კლანჭებში მოქცეული მარიონი კი ისევე უმწეოდ გამოიყურებოდა, როგორც დანკანის წინააღმდეგ თამაშმისჯილი აყლაყუდა ჰანტერი.

დანკანი რომ დიდებული მობურთალია, ძველი ხელნაწერებიდანაც იცით, მაგრამ ნურც მატჩის გმირებს დავივიწყებთ. ყველაფერ ზემოთქმულის მიუხედავად, მშვენივრად მოთამაშე „ფინიქსს“ რობერტ ჰორიე და მანუ ჯინობილიმ დაუდეს კვანტი. მასპინძლებმა კი მოახერხეს და ბოლო მეოთხედში 11-ქულიანი ჩამორჩენა 6-ქულიან უპირატესობად გარდასახეს, მაგრამ გამოცდილებამ დაალალატათ — ჰორიმ და ჯინობილიმ სწორედ მაშინ სტყორცნეს საჭირო ბურთები, როცა მასპინძლები ლიდერობის განმტკიცებას აპირებდნენ. „სანზი“ 100:99 რომ აგებდა, მისმა ფრთიანმა ლიდერმა სტივ ნეშმა სამქულიანი დასჭექა და თავისიანები 102:100 დააწინაურა, მაგრამ ჰორიმ სწორედ ამ დროს უპასუხა სამიანით, ხოლო ჯინობილიმ ორიანითაც და სამიანითაც. შემდეგ ორივემ კი აფუჭა საჯარიმოები და მეტოქეც წამოეპარა, თუმც...

**კოტე ყორშია**



სტივ ნეში და ტონი პარკერი ფარქეშ შეყუჟულან

# მო მობრუნდა
## ჩიქსის ადგილი ფილადელფიაშია



**ჭეშმარიტად** ფილადელფიელი კაცი მშობლიურ ქალაქს და გუნდს უბრუნდება. მორის ჩიქსი დაიბადა და გაიზარდა ფილადელფიაში, იქაურ უნივერსიტეტში თამაშობდა, იქაურ „სიქსერზში“ ვარსკვლავებს ეთამაშებოდა, ამ გუნდის გაწვრთნაში ეხმარებოდა ჭკვიან უფროსებს, ოთხი წლის წინათ კი ცხოვრებამ ატლანტის ოკეანის სანაპიროდან წყნარისპირეთში გადაისროლა.

და დადგა ჟამი მისი შინ დაბრუნებისა.

„ფილადელფია სიქსერზმა“ გაუშვა მთავარი მწვრთნელი ჯიმ ობრაიენი და მის სკამზე მო ჩიქსი დასვა, რომელიც ორი თვის წინ „პორტლენდმა“ თითქმის ოთხწლიანი თავკაცობის შემდეგ დაითხოვა და ამის გამო ბოლომდე დაიძირა.

საზოგადოდ, ბოლო დროს „ფილადელფიას“ არ უმართლებს თავკაცებში. „სიქსერზიდან“ ლარი ბრაუნის წასვლის შემდეგ — ეს კი ორი წლის წინათ მოხდა — ამ გუნდს რენდი აიერსი, კრის ფორდი და ჯიმ ობრაიენი მეთაურობდნენ, თუმცა, არც ისე განსაკუთრებით კარგად. „სიქსერზი“ შარშან პლეი ოფში ვერ მოხვდა, წლეულს კი როგორც მოხვდა, ისე გამოვარდა პირველივე წრიდან — სწორედ ლარი ბრაუნის „დეტროიტთან“ შეჯახების შემდეგ.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ და, ამბიციური კლუბის ამბიციური შეფები შედეგს ითხოვენ და მოდგმით ფილადელფიელი მო ჩიქსიც ამისთვის დააბრუნეს მშობლიურ სანახებში. ამ ქალაქში ბავშვებმაც კარგად იციან, რომ ჩიქსი იმ „ფილადელფიას“ ლიდერთაგანი იყო, 80-იანების პირველ წლებში ნბა-ს რომ აზანზარებდა და 1983 წელს რიხინ-რიხინით მოიგო რეგულარულიც და პლეი ოფიც.

„მო ჩვენი ოჯახის წევრია, „სიქსერზის“ და ფილადელფიის ლოგო და თილისმაა და ჩვენ მას სიამოვნებით ვუღებთ კარს“ — ამბობს კლუბის პრეზიდენტი [illegible] ლი კინგი.

ჩიქსი 1996-2001 წლებში „სიქსერზში“ მთავარი მწვრთნელის [illegible] ვარ ასისტენტად მსახურობდა და სწორედ მისი და ლარი [illegible] ხელში დაფრთიანდა [illegible] პირველი ბომბარდირი [illegible] რსონი. 2001 წელს „ფილადელფიამ“ „ლეიკერსთან“ ფინალი [illegible] აგო, ჩიქსს „პორტლენდში“ მთავარი მწვრთნელის პოსტი [illegible] ზეს და ისიც იქით გაეშურა [illegible] დან არცთუ ურიგოდ მიხედა [illegible] ქმე, მაგრამ 2004 წელს „პორტლენდი“ ბოლო 22 წელიწადში პირველად ვერ მოხვდა პლეი ოფში და შემდეგი სეზონის [illegible] სამუშაო დაკარგა. [illegible] სპეციალისტი არ [illegible] რად ის მოსდის, თავაწყვეტილ [illegible] თამაშებს ვერ თოკავს [illegible] ედანზე და ვერც [illegible] მარიხუანის მოყვარული [illegible] ნთან მწყრალად [illegible] თამაშის ყოლის გამო „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსს“ „ჯეილ ბლეიზერსიც“ კი შეარქვეს, რაც [illegible] ნებურად დახლოებით „ციხის ბლეიზერსად“ ითარგმნება.

მაგრამ ახლა მო ჩიქსი იქაა, [illegible] დაც ყველა პატივისცემით [illegible] და მხარშიც სიამოვნებით [illegible] გება, დიდიც და პატარაც.

**კოტე ყორშია**

# ბაქსის ბინგო
## მილუოკი პირველი აირჩევს

**„ბინგო!“** — დაიძახა „მილუოკი ბაქსის“ გენ-მენეჯერმა ლარი ჰარისმა, როცა დრაფტი ლატარიის შედეგები გაიგო.

არის ნბა-ში ასეთი ცნება — „დრაფტ-ლატარია“, რომელიც ოდესღაც შემოიღო ნბა-ს ახლანდელმა კომისარმა დევიდ შტერნმა. ლატარიაში დრაფტის არჩევნები თამაშდება იმ გუნდებს შორის, რომლებიც პლეი ოფში ვერ მოხვდნენ, რაც უფრო სუსტია გუნდი, მით მეტი შანსი აქვს ლატარია მოიგოს და დრაფტზე პირველი არჩევნის უფლება მოიპოვოს, თუმც არც სხვები არიან უშანსოდ.

წლევანდელ დრაფტ-ლატარიაში 14 უპლეიოფო გუნდი მონაწილეობდა და განვლილი რეგულარული სეზონის შედეგებით „მილუოკი“ ამათ შორის უსუსტესი არ იყო, თუმც კენჭი სწორედ „ბაქსისთვის“ იყარა, პირველი არჩევნის უფლება სწორედ მას შეხედა. ახლა, უფრო ზუსტად კი 28 ივნისის დრაფტზე მილუოკელები ნებისმიერ პერსპექტიულ მოთამაშეს [illegible] და საწუწუნოც არაფერი [illegible] ნბა-ში გადასახარჯებლად [illegible] ბულ ჯგუფთაგან [illegible] პექტიულებად ითვლებიან [illegible] ენდრიუ ბოგუტი, [illegible] უილიამსი და [illegible] პოლი. „მილუოკიც“ [illegible] ამ სამეულიდან აირჩევს [illegible] სასურველს.

**დრაფტ-ლატარიის შედეგები**

1 მილუოკი ბაქსი
2 ატლანტა ჰოქსი
3 პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი
4 ნიუ ორლეან ჰორნეთსი
5 შარლოტ ბობქეთსი
6 იუტა ჯაზი
7 ტორონტო რეპტორზი
8 ნიუ იორკ ნიქსი
9 გოლდენ სტეიტ ვორიორზი
10 ლოს ანჯელეს ლეიკერსი
11 ორლანდო მეჯიქი
12 ლოს ანჯელეს კლიპერსი
13 შარლოტ ბობქეთსი
14 მინესოტა ტიმბერვულვზი

*მე-13 არჩევანი შარლოტმა კლივლენდისგან*

## როლან გაროსი 2005

### მეორე წრე

**კაცები**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) 6:3 7:6 (7:0) 6:2; **რაფაელ ნადალი** (4, ესპანეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:2 6:2 6:4; **გასტონ გაუდიო** (5, არგენტინა) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) ტურსუნოვმა ვერ ითამაშა; **ლუის ორნა** (პერუ) — ტიმ ჰენმანი (7, ბრიტანეთი) 7:5 6:7 (2:7) 6:3 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (10, არგენტინა) — ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) 6:3 6:2 6:1; **კარლოს მოია** (14, ესპანეთი) — რობინ ვიკი (ჩეხეთი) 7:6 (8:6) 6:7 (4:7) 6:3 6:1; **რადეკ შტეპანეკი** (16, ჩეხეთი) — ფლორან სერა (საფრანგეთი) 6:3 6:4 6:1; **მარიო ანჩიჩი** (18, ხორვატია) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 4:6 6:1 6:2 6:3; **სებასტიან გროჟანი** (23, საფრანგეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:0 6:3 6:2; **რიშარ გასკე** (30, საფრანგეთი) — პეტერ ვესელსი (ჰოლანდია) 6:3 7:6 (7:1) 6:1

**ქალები**

**ლინდსი დევენპორტი** (1, აშშ) — შუაი პენი (ჩინეთი) 3:6 7:6 (7:4) 6:0; **ელენა დემენტიევა** (4, რუსეთი) — სანდა მამიჩი (ხორვატია) 7:6 (9:7) 6:2; **ვერა ზვონარიოვა** (9, რუსეთი) — ევა ბირნეროვა (ჩეხეთი) 4:6 6:3 6:0; **ვინუს უილიამსი** (11, აშშ) — ფავიოლა სულუაგა (კოლუმბია) 6:3 3:6 6:3; **კიმ კლაისტერსი** (14, ბელგია) — ლუდმილა ჩერვანოვა (სლოვაკეთი) 6:2, 6:1; **ელენა ლიხოვცევა** (16, რუსეთი) — მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა) 6:1 7:6 (7:3); **სილვია ფარინა ელია** (18, იტალია) — არანჩა პარა სანტონია (ესპანეთი) 7:5 6:2; **სესილ კარატანჩევა** (ბულგარეთი) — შინობუ ასაგოე (19, იაპონია) 7:5 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა** (20, სლოვაკეთი) — კატალინა კასტანიო (კოლუმბია) 6:4 6:3; **ემილი ლუა** (საფრანგეთი) — ემი ფრეზერი (27, აშშ) 6:4 6:4



რაფაელ ნადალი

## საროლანგაროსო ამბავ-ხაბარი

### აუწონელი

**ჩვეულებრივ,** როცა რომელიმე მეჩოგნე ანდრე აგასის ამარცხებს, ნამატჩევს ამბობს ხოლმე, რომ ის მისი სიყრმის კერპი იყო და რომ მისი პლაკატი საწოლის თავზე ჰქონდა გაკრული. ეს არც არის გასაკვირი, რაკიღა დიადი არმენოამერიკელი უკვე 35 წლისაა, ხოლო ამჟამად მოჩოგნავეთაგან მრავალი მართლაც ბალღი იყო, ჯაბო ანდრე უკვე ვარსკვლავებს რომ ეთამაშებოდა. ეგევე მოხდა ამ როლანგაროსობის პირველ წრეში აგასის მძლეველ იარკო ნიემინენის შემთხვევაშიც. პაწკუა ფინურ ქალაქ პასკუში გაზრდილი იარკო მხოლოდ ხუთი წლისა იყო მაშინ, როცა — 1986 წელს — ანდრე თავის პირველ სლემმატჩს მართავდა. „ის და სამპრასი ჩემი კერპები იყვნენ — ჰყვება ფინელი — მთელი კედლები მათი პლაკატებით მქონდა დაფარული, ვიდეოზეც სულ მათ თამაშებს ვატრიალებდი. ასე რომ, მის დამარცხებას ჩემთვის ისეთი დატვირთვა აქვს, რაიც არც არაფრით არ აიწონება."

### სამგზისის ოტება

**ბრაზილიელი** გუსტავო კუერტენი როლანგაროსობის სამგზის — 1997, 2000, 2001 წლების ჩემპიონია და პარიზულ სეფეთიხნარზე ისეთივე მხარდაჭერით სარგებლობს, როგორც ადგილობრივი მეჩოგნეები. მაგრამ — ვაგლახ — უკვე რახანია, ტრავმიანობით გატანჯული ჩემპიონი ველარც თავის იქაურ ქომაგებს ახარებს და ველარც აქაურს. თუმცა, თუკი შარშან მეოთხე წრეში თავად როჯერ ფედერერს აჯობა და თანაც — სეტისწაუგებლად, წლეულს ჩოგანი პირველივე წრეში დააშალითა. ამაში მას ჰალალად დაეხმარა მსოფლიო რეიტინგსიის 138-ეადგილოსანი ესპანელი დავიდ სანჩესი, ვინაც ურიგოდ თავადაც რომ უჩოგნავია, კიდევ უფრო ზორბად გუგას 83 უნებლიე შეცდომა გამოიყენა. ასეთი უილაჯო, ასეთი უხალისო კუერტენი მილეთს მის აქამომდელ 42 როლანგაროსულ მატჩში ძვირად თუ უნახავს. აფსუს!



### მაშას მესიჯი

**ქალთა** რეიტინგსიის მეორეადგილოსანმა მაშა შარაპოვამ ამჟრის პირველოსან ლინდსი დევენპორტს ამ დღეებში საჯაროდ უმესიჯა, ვინმემ უთხრას, რათა განზე გადგეს და სეფეჩოგანი დამითმოსო. ამ მესიჯს შარაპოვა მაშინ გამოვიდა, როცა ერთმა ჟურნალისტმა უთხრა, ლინდსი ამბობს, ჩემი პირველოსნობა სულაც არ მენაღვლებაო. „მაშინ ნუ ითამაშებ და პირველი მე გავხდები. გმადლობ, ლინდსი" — თქვა მაშამ და იქ შეკრებილი ხალხი თავის ლოლომარწყვა ბლონდებში გაჰხვია.

# აგასის აღარც ედვილით ეადვილება



**თავის ყველა დროის სარეკორდო 58-ე სლემტურნირზე ანდრე აგასიმ პირველსავე წრეში ჩაიფლავა. ოღონდ ამის მიზეზი მის ფინელ მძლეველ იარკო ნიემინენზე მეტად ზურგის მავანი ნერვის ანთება იყო, რაიც ტურნირის 1999 წლის ჩემპიონს მესამე სეტის მიწურულიდან წამოტკივდა და ბოლო ორი სეტის განმავლობაში მხოლოდ ერთი გეიმი მოაგებინა. ნამატჩევი პრესკონფერენციაც უწინარესად სწორედ ამაზე ლაპარაკით დაიწყო**

**— აშკარა იყო, რომ მესამე სეტის მერე რაღაც გაწუხებდათ.**

— მართალია, სადღაც ამ სეტის მიწურულს ზურგის ნერვი წამომტკივდა და, რაკიღა ტკივილი ფეხსაც გადაეცემოდა, სულ უფრო და უფრო მიჭირდა კორტზე გადაადგილება.

**— მაინც რამ გამოიწვია ნერვის ანთება?**

— ორი საათის განმავლობაში თამაშმა, ეგ არის და ეგ. ეს ჩემი მუდმივი პრობლემაა, რომელიც ხან როდის წამოყოფს თავს და ხან — როდის. ამ რამდენიმე თვის წინ, კონკრეტულად კი სანხოსეობის შემდეგ კორტიზონის ინექციაც გავიკეთე და მომდევნო თვეების განმავლობაში ნერვს აღარ შევუწუხებივარ. მაგრამ მაშინ ძირითადად ჰარდზე და თან ორი-სამი სეტი მიწევდა თამაში. მაგრამ თიხნარზე მდგომარეობა ისევ გართულდა, რადგანაც საფარი ნელია და კორტზეც უფრო მეტი ხნით ყოვნდები.

**— ამ პრობლემის გამო წლეულს უიმბლდონზე თამაშს ხომ არ გადაიფიქრებთ?**

— იქ გამოსვლა ძალიან მინდა. იმედია, მორიგი ინექცია გაჭრის და უახლოესი რამდენიმე თვის განმავლობაში ჩოგნაობას ისევ შევძლებ... ახლა კარიერის იმ ეტაპზე ვარ, როცა ამგვარი ინექციების გარეშე თამაში უკვე აღარ გამომდის. ეს საშინელი ტკივილია, იქნებ ზოგიერთ თქვენთაგანს გამოცდილიც კი ჰქონდეს.

**— ესე იგი, თქვენი თამაში ახლა მთლიანად კორტიზონზეა დამოკიდებული?**

— დიახ, ასეა. ყოველწლიურად სამი ინექციის უფლება მაქვს. ერთხელ უკვე გავიკეთე, ორიც დამრჩა...

**— ამას წინათ თქვენ თქვით, რომ საროლანგაროსოდ რიგიანად მოემზადეთ, თანაც წინა ხუთშაბათს სწორედ იარკო ნიემინენთან ერთად სპარინგობდით...**

— ჰო, მე მართლაც კარგად მოვემზადე და დღევანდელ მატჩშიც თავიდან ყველაფერი ნორმალურად მიმდიოდა. მაგრამ, როცა თამაშმა ორ საათს მიუკაკუნა, ნერვმა თავი შემახსენა და იქიდან ყველაფერი დაღმა დაეშვა.

**— ერთ მომენტში შევამჩნიე, რომ რაღაც აბებს ყლაპავდით. ეს ტკივილგამაყუჩებელი იყო?**

— არა, უბრალოდ „ედვილი" დავლიე. ძალიან დიდი მოლოდინი არ მქონდა, ვიფიქრე, ეგებ ოდნავ მაინც მიშველოს-მეთქი...

**— უკვე ორი წელიწადია, საფრანგეთის ღია პირველობას პირველ წრეშივე ეთიშებით.**

— რა უნდა ქნა, როცა სხეული პრობლემებს გიქმნის. როცა ოთხი-ხუთი საათის განმავლობაში თამაში აღარ შეგიძლია, მაშინ ჩოგბურთი უკვე მეორე პლანზე გადადის. ეს კი ძალიან მურტალი რამეა.

**— თუმცა ამის მიუხედავად თქვენ იმედი გაქვთ, რომ უიმბლდონზე მაინც გამოხვალთ. ფიქრობთ, რომ წლეულს აშშ-ის ღია პირველობაზეც შეძლებთ თამაშს?**

— რასაკვირველია. როცა ინექცია ბოლოჯერ გავიკეთე, ამან რამდენიმე თვით მართლაც მიშველა. სწორედ ეს მაიმედებს, რომ თიხნარზე თუ ვერა, ბალახსა და ჰარდზე მაინც შევძლებ ხანგრძლივად ბურთაობას.

**— როცა დღევანდელმა თამაშმა ორ საათს უწია, თქვენ სეტებით 2:1 იგებდით. ნუთუ ასეთ ვითარებაში კი არავითარი შანსი არ გქონდათ?**

— სამწუხაროდ ეს სწორედ ასე იყო. მესამე სეტის მერე უკვე თამაშის შეწყვეტასაც ვაპირებდი... ამ დროს უკვე აღარც მოწოდება შემეძლო, აღარც გამართულად დგომა. ტკივილი კი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

**— კი მაგრამ, თუკი იცოდით, რომ ნერვი თიხნარზე განსაკუთრებით შეგაწუხებდათ, საერთოდ რატომღა ჩამოხვედით აქ?**

— რომში თავს კარგად ვგრძნობდი. ჰამბურგშიც პირველი თამაშის დროს ნერვს არ შევუწუხებივარ. ვარჯიშებზეც ყველაფერი რიგიანად მიდიოდა. ასე რომ, არ მეგონა, თუკი ნერვი აქ პირველსავე შეხვედრაში გამიჩმახებდა. ისე ვვარაუდობდი, რომ მორიგი ინექცია სადღაც ზაფხულში უნდა გამეკეთებინა. ასე რომ, დღევანდელი ამბავი ჩემთვისაც ერთგვარი სიურპრიზი იყო.

**— შტეფი და ბავშვები არ გეუბნებიან, „მამა, მოგვბეზრდა იმის ყურება, კოჭლობით რომ დადიხარ. იქნებ დროა, რამე სხვაზეც გეფიქრა"?**

— პირიქით, ისინი ძალიან მეხმარებიან...

**— ალბათ ძალიან ძნელია ტკივილის დავიწყება, მაგრამ ნუთუ არავითარი სიხარული არ გიგრძვნიათ იმის გამო, რომ დიდი მუზარადის ტურნირებზე გამოსვლის ახალი რეკორდი დაამყარეთ. აქამდე 58 სლემტურნირზე არავის ეთამაშა. იცოდით ეს?**

— არა, არ ვიცოდი.

**— თქვენ კონორსსაც გაასწარით და ყველა სხვასაც. რას გრძნობთ ამასთან დაკავშირებით?**

— რაც უფრო მეტს თამაშობ, მოგების მით უფრო შანსი გაქვს.

**— ჩვეულებრივ ისე ხდება ხოლმე, რომ ოცდაათს გადაცილებულ მოთამაშეებს ჩოგბურთის გარდა სხვა არანაირი ალტერნატივა არა აქვთ. თქვენ კი თქვენი საქველმოქმედო საქმიანობის გარდა არაჩვეულებრივი ოჯახიც გყავთ. როცა ამას ყველაფერს ერთმანეთს ადარებთ, რა გაიძულებთ, ყოველივე ამის მიუხედავად მაინც ჩოგანი აქნიოთ. თქვენ ხომ დასამტკიცებელი აღარაფერი დაგრჩათ.**

— ჩოგბურთი ის არის, რაც ყველაზე კარგად ვიცი და რასაც ყველაზე კარგად ვაკეთებ. კარიერის მიწურულს მე ყველა ის კომპონენტი შევაგროვე, რაც ამ თამაშში მონაწილე ადამიანს წარმატების მისაღწევად სჭირდება. ამიტომ მე არ მინდა ახლა საერთოდ ამ თამაშით და კონკრეტულად ჩემთვის ჯერ კიდევ დარჩენილი გამარჯვებებით მისაღები სიამოვნება ასეთი კითხვებით წავმურდლო — სადა ვარ, რას ვაკეთებ, რატომ ვაკეთებ. არის რაღაცა, რაც ეჭვქვეშ უნდა დააყენო, რაღაცას კი არ უნდა შეეხო, უბრალოდ თავი უნდა დახარო და მუშაობა გააგრძელო.

დიდი ხანია, რაც საქართველოში ორთაბრძოლათა იმ სახეობამ მოიკიდა ფეხი, რომელსაც კარატეს ეძახიან. გეხსომებათ, 80-იან წლებში ერთგვარი ბუმიც იყო. ჩინური ფილმები მრავლად შემოვიდა საბჭოთა ბაზარზე და ქართველი მაყურებელიც დაძაბული ადევნებდა თვალს, როგორ ერეოდა ერთი ჩინელი ხონ გილ დონი ათეულობით იაპონელ ნინძას.
მიუხედავად იმისა, რომ ამ ფილმებში უმეტესწილად სწორედ „იმპერიალისტი" იაპონელი კარატისტები მარცხდებიან, ხოლო პროლეტარი ჩინელი უ-შუისტები და ტაური ბოქსის ოსტატები იმარჯვებენ, ქართველი მაყურებელი მაინც ყველა „წვრილთვალება" კაცს კარატისტს ეძახდა.
ჩვენც მეტი რა გვინდოდა, მრავლად გაჩნდა კარატის სექციები. ზოგან ნამდვილი ოსტატები წვრთნიდნენ ბავშვებს, ზოგან კი მოხერხებული თაღლითები.


ბადრი ძიძიშვილის ფოტო

# ძველ ოქრო-ვერცხლზე უკეთესი ბრინჯაო

**საქართველოში** კარატის 4 ძირითადი სტილია ცნობილი და მათი ფედერაციებიც არსებობს. ეს სტილებია: შიტო-რიუ, შოტოკანი, ვადო-რიუ და გოჯი-რიუ. ამ სტილთა ფედერაციები ჩვენში დიდი ხანია, არსებობს, თუმცა საქართველოს კარატის ფედერაცია, რომელიც მათ აერთიანებს, 1998 წელს დაარსდა, ხოლო 1999 წლიდან მსოფლიოს კარატის ფედერაციაში (WKF) გაწევრიანდა.

WKF-ის მიერ მოწყობილი ტურნირებია სწორედ ის საზომი, რომლითაც ქვეყანაში კარატის განვითარების დონე შეგვიძლია შევაფასოთ. შეიძლება სხვადასხვა სტილში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები გყავდეს, მაგრამ WKF-ის ტურნირზე აუტსაიდერებში მოხვდე, რადგანაც კარატის მსოფლიოს ფედერაციის მიერ მოწყობილ ჩემპიონატზე ყველა სტილში მებრძოლთა საუკეთესო წარმომადგენლები იყრიან თავს.

ტენერიფეში (ესპანეთი) ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა WKF-ის ეგიდით და ჩვენებურმა გოგიტა არქანიამ ბრინჯაოს მედალი ირგუნა, ეს ჯილდო კი იმ ოქრო-ვერცხლზე ძვირფასია, რომლებიც რაგინდარა კარატის ტურნირებზე აქამდე აგვილია.

წლეულს სპორტულ კარატეს ოლიმპიურ სახეობათა სიაში შეტანას უპირებენ და თუ ეს მოხდა, სწორედ WKF-ის დადგენილი წესებით იბრძოლებდნენ იქ კარატისტები. ამიტომაც ევრო-ბრინჯაო ორმაგად სასიხარულოა.

გოგიტა არქანია 21 წლისაა და აფხაზეთიდან გახლავთ, თუმც ბავშვობაში მშობლიური მხარის დატოვება მოუწია და ზუგდიდში გადასახლდა, სადაც 12 წლისამ სკოლაში გახსნილ კარატის სექციას მიაშურა და მას მერე სპორტული ორთაბრძოლების ამ სახეობას მისდევს.

**— როგორ დაიწყო შენი სპორტული კარიერა?**

— ზუგდიდში, სკოლაში კარატის სექცია რომ გაიხსნა, დამაინტერესა და მივედი. გულახდილად გეტყვით, წყნარი ბავშვი არასოდეს ვყოფილვარ და არც მუშტი-კრივი ყოფილა ჩემთვის უცხო ხილი, თუმცა როდესაც ვარჯიში დავიწყე, თანდათან უფრო სერიოზულად მივუდექი საქმეს და დღეს კარატე ჩემს ძირითად საქმიანობად იქცა. ჩემმა პირველმა მწვრთნელებმა მალხაზ პაჭკორიამ და მამუკა ყურაშვილმა მაქციეს სპორტსმენად.

**— პირველ წარმატებებს ხომ არ გაიხსენებდი?**

— საქართველოს ჩემპიონატი პირველად 14 წლისამ მოვიგე. საერთოდაც რამდენჯერმე გავხდი ქვეყნის პრიზიორი. ძირითადად შოტოკანს ვვარჯიშობდი, თუმცა სხვა სტილებშიც გამოვსულვარ. 17 წლისამ უკრაინის იუნიორთა ჩემპიონატზე მესამე ადგილი დავიკავე. ეს ჩემი პირველი გასვლა იყო საზღვარგარეთ. შემდეგ სპორტის აკადემიაში განვაგრძე სწავლა და თბილისში გადმოვბარგდი. ბოსფორის თასზე იუნიორთა შორის პირველი ადგილი დავიკავე. შემდეგ მარსელში და მოსკოვში ვიასპარეზე, თუმცა წარუმატებლად, ბილბაოში კი ვადო-რიუს მსოფლიოს ჩემპიონატი მოვიგე.

**— ახლა ევროპის ჩემპიონატზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა.**

— ტენერიფეში მე და ვასილ ჭონიშვილი ვმონაწილეობდით. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე მხოლოდ ვაჟთა დაფინანსება მოხერხდა და თათია მელუა, რომელმაც ბოსფორის ტურნირზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ესპანეთში ვერ წამოგვყვა. თუმცა, სპორტის დეპარტამენტის მხარდაჭერა რომ არა, ჩვენც ვერ გავემგზავრებოდით.

თავიდანვე არ გამიმართლა და პირველ მეტოქედ ინგლისელი მერგო, რომელიც საბოლოოდ ფინალში გავიდა და ვერცხლის მედალი მოიგო. დავმარცხდი, თუმცა ჩემი მოწინააღმდეგის ფინალში გასვლამ შესაძლებლობა მომცა, მესამე ადგილისთვის მებრძოლა.

მეორე მეტოქე სლოვაკი იყო, რომელსაც საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში მოვუგე, შემდეგ კი იტალიელთან პატარა გაუგებრობის გამო კინაღამ საქმე წამიხდა. 2:0-ს ვიგებდი და ტაბლოს შევხედე. 5 წამი იყო დარჩენილი. მეც მშვიდად გავიყვანე დრო, თუმც რატომღაც აღმოჩნდა, რომ წამმზომი ბრძოლის განახლების შემდეგ არ ჩაურთიათ და ტაბლოზე ისევ 5 წამი იყო დარჩენილი. მსაჯის ნიშნის შემდეგ ზედმეტად ვიაქტიურე და მოწინააღმდეგეს ყელში გავარტყი ხელი, რაც აკრძალულია და 2 საჯარიმო ქულაც მერგო. ბრძოლა დამატებით დროში გავაგრძელეთ, რომელიც ასევე ფრედ დასრულდა. საბედნიეროდ, მსაჯთა გადაწყვეტილებით გამარჯვება მე მომანიჭეს.

გადამწყვეტ ბრძოლაში ჰოლანდიელს გადავეყარე. ძალიან დაღლილი ვიყავი, რადგან 7 წუთი მქონდა ნაბრძოლი და ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე წამით შევისვენე. ერთ-ერთი ბრძოლისას ცხვირიც გამებზარა, თუმცა გადავწყვიტე, რომ მონაწილეობა გამეგრძელებინა და მესამე ადგილისთვის ბრძოლა 3:0 მოვიგე.

აქვე ერთი ამბავიც მახსენდება. საპატიო კვარცხლბეკიდან დოპინგ-კონტროლზე მიკრეს თავი. ყველა მონაწილეს თავიანთი ექიმები ეხვია გარს. მკითხეს, შენი ექიმი სად არისო, რომ ვუთხარი, არ მყავს-მეთქი, ყურებს არ უჯერებდნენ, უექიმოდ ტურნირზე როგორ ჩამოხვედიო.

**— მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ახალგაზრდა ხარ, სპორტული თვალსაზრისით უკვე საკმაო გამოცდილება დაგიგროვდა. მომავალ თაობას რას ურჩევდი?**

— მინდა, აღვნიშნო, რომ საკმაოდ კარგი თაობა მოდის. ქართველებს საბრძოლო ხელოვნებებისადმი მიდრეკილება გვაქვს. ეს ჩვენი ტრადიციების ნაწილია. იაპონელებთან ბევრი საერთო გვაქვს ამ გაგებით. ისინიც ტრადიციული ხალხია და თავიანთ კულტურას სათუთად ებყრობიან. ერთიც მინდა აღვნიშნო, იაპონელი შეიძლება ბუნებაში გავიდეს, იქ ივარჯიშოს, თავისი თავის პატრონობა თავად იკისროს, ევროპელი კი ამ საქმეს ხელს არ მოჰკიდებს, თუ გამთბარ ოთახში, პირველხარისხოვან ტრენაჟორებზე არ ივარჯიშა, ამ სპორტში კი მთავარი მონდომებაა. პატარებს ვურჩევდი, რომ პირველ რიგში იმაზე იფიქრონ, საქართველოს სახელი არ შეარცხვინონ და თუ ვარჯიშებს დაიწყებენ, ბოლომდე დაიხარჯონ.

დასასრულს გოგიტა არქანიამ ის მადლიერებით მოიხსენია, ყველანი რომელთაც მის წარმატებაში მიუძღვით წვლილი, განსაკუთრებით კი ყოფილი მწვრთნელები, ახლანდელი მწვრთნელი, გრიგოლ დარჩიაშვილი და საქართველოს კარატეს კავშირი.

**ლადო ფულუკიძე**



# ნონას თასი მეზობლებმა წაიღეს

## თასთან ერთად ლილიტ მკრტიჩიანმა 5000 ლარიც მოიგო

**წლევანდელი** „ნონას" თასის გათამაშება სომეხი მოჭადრაკის ლილიტ მკრტჩიანის გამარჯვებით დასრულდა.

მთავარ ტურნირზე ქართველ მანდილოსნებთან ერთად ორი ნეკი მეზობელი სომხეთიც მონაწილეობდა და, როგორც თავში გითხარით, თასიც თავიანთ ქვეყანაში წაიღეს.

ყოჩაღად ჩაატარა ტურნირი მკრტჩიანმა. პირველ ტურში მან ნინო გურიელს ტაი ბრეიკებით მოუგო, თუმც შემდეგ აიწყვიტა და ნანა ძაგნიძეს და ნანა იოსელიანს მშრალი ანგარიშებით (2:0 (2:0)) სძლია. ფინალში იგი ინგა ჭარხალაშვილს დაუპირისპირდა და პირველი ორი პარტია ყაიმით დასრულდა. დაინიშნა დამატებითი პარტიები. ჩქარი პირველი თეთრებით მოთამაშე მკრტჩიანმა მოიგო, განმეორებითში კი თეთრებით მოთამაშე ჭარხალაშვილი ახლოს იყო მოგებასთან, თუმცა ბოლომდე ვერ იყოჩაღა და ნონას თასი მეტოქეს დაუთმო.

„ნონას" თასთან ერთად მკრტჩიანმა 5 ათასი ლარიც მიიღო.

**ლაშა გეგეჭკორი**

### „ნონას" თასი 24-25 მაისი

I ეტაპი

მაია ჩიბურდანიძე (1) — სოფო ნიკოლაძე (16) (1:0) (0,5:0,5)
მაია ლომინეიშვილი (8) — სოფო ხუხაშვილი (9) (0:1) (1:0) ტაი ბრეიკი (1:0) (1:0)
ქეთევან არახამია (4) — ფირუზ ველიხანდი (13) (1:0) (1:0)
ლელა ჯავახიშვილი (5) — ინგა ჭარხალაშვილი (12) (0,5:0,5) (0:1)
ნანა ძაგნიძე (2) — ნინო ბაციაშვილი (15) (0,5:0,5) (1:0)
ლილიტ მკრტჩიანი (7) — ნინო გურიელი (10) (0:1) (1:0) ტაი ბრეიკი (1:0) (0,5:0,5)
ნანა იოსელიანი (3) — სოფო გვეტაძე (14) (1:0) (1:0)
ნინო ხურციძე (6) — რუსუდან გოლეთიანი (11) (0:1) (0,5:0,5)

II ეტაპი

მაია ჩიბურდანიძე — მაია ლომინეიშვილი (1:0) (1:0)
ქეთევან არახამია — ინგა ჭარხალაშვილი (1:0) (0:1) ტაი ბრეიკი (0,5:0,5) (0:1)
ნანა ძაგნიძე — ლილიტ მკრტჩიანი (0:1) (0:1)
ნანა იოსელიანი — რუსუდან გოლეთიანი (1:0) (1:0)
ნახევარფინალი
მაია ჩიბურდანიძე — ინგა ჭარხალაშვილი (0,5:0,5) (0:1)
ლილიტ მკრტჩიანი — ნანა იოსელიანი (1:0) (1:0)

ფინალი

ლილიტ მკრტჩიანი — ინგა ჭარხალაშვილი (0,5:0,5) (0,5:0,5) ტაი ბრეიკი (1:0) (0,5:0,5)

# წმინდა რუსეთმა პოლუსს შეაფარა


მოსკოვის ცაში იმ ფრენაფრენისას...

**ამ** შვიდი წლის წინათ მოსკოვში ყოფნისას იქაური საჰაერო ბურთით მოგზაურობის მოყვარულები ამიტყდნენ, ჩვენი ბურთით ჩრდილოეთ პოლუსზე გადაფრენას ვაპირებთ და შენც გამოგვყევიო. თან დასაინტერესებლად მოსკოვის ცაში აღმა-დაღმა მაფრინეს, საღერღელი ამიშალეს და იმ ჩემი საჰაერო თავგადასავლების შესახებ „სარბიელის" მკითხველებსაც გაუზიარე შთაბეჭდილებები.

სამწუხაროდ, მათთან კავშირი რატომღაც ველარ გავაგრძელე და არც რუსების პოლუსზე საჰაერო ბურთით გაფრენის შესახებ მსმენია რამე. და აი, შვიდი წლის მერე ეს ცნობაც მოვიდა: აეროსტატ „სვიატაია რუსი"-ის ეკიპაჟმა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ოპერატორი ვიტალი კაზარიანი და მექანიკოსი ედუარდ მაზური, ცნობილი მოგზაურის ვალენტინ ეფრემოვის მეთაურობით განახორციელა უნიკალური პროექტი „საჰაერო ბურთით ჩრდილოეთ პოლუსისკენ".

არქტიკის ათვისების ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ადამიანებმა ჩრდილოეთ პოლუსს საჰაერო ბურთით მიაღწიეს. ექსპედიცია არქტიკული კონცხიდან (ჩრდილოეთის მიწის არქიპელაგი) დაიწყო და 38 დღე-ღამის შემდეგ, როცა უკან დარჩა 380 კილომეტრი, მიზანსაც მიაღწიე.

პროექტის რეალიზაციისას განხორციელდა აგრეთვე უპრეცედენტო ოპერაცია — ავიაციის დახმარებით ექსპედიციის უზრუნველყოფა, რისთვისაც შვეულმფრენები გამოიყენეს.

**ავთანდილ ტყვიშელი**
**ავტორის ფოტო**

# ხსნიან

ჟაკ როგს ხომ ცნობთ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი რომ არის?! მარჯვნივ კი ბრიტანეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი კრეიგ რიდი უდგას და ორივენი ერთად 1908 წლის ლონდონის ოლიმპიადისადმი მიძღვნილ მემორიალურ დაფას ხსნიან საზეიმოდ.




AFP ლონდონიდან




# მანჩესტერიდან მალავიში

ეს ფოტო მალავიში გადაიღეს, ბლანტირის სტადიონ „კამუზუზე“, სადაც ქალაქ მანჩესტერიდან ორი ფეხბურთელი ჩავიდა, „იუნაიტედის“ გარი ნევილი და „სიტის“ დევიდ ჯეიმსი. ისინი შიდსის საწინააღმდეგო კამპანიაში მონაწილეობენ. თურმე მალავიში დიდი ეკონომიკური გაჭირვებაცაა და შიდსიც გვარიანად მისძალებიათ. მანჩესტერელი სპორტსმენები უპირატესად ბავშვებს ეხმარებიან.




# ასცხრა წლის ქაფი

აი, ეს საფეხბურთო თასი, ინგლისელი ლამაზმანის ხელში რომ ხედავთ, გახლავთ 1896 წლის ასლი 1872 წელს დაარსებული „ჩელენჯ ქაფისა“, რომელიც აუქციონზე გაიტანეს და 878 086 დოლარად გაყიდეს.




AFP მალავიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია აზვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხომერიკი, კახა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია აბულაძე, ლევან კლაურიძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ლოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გულუტაშვილი, რუსუდან ქრისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფიფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge